სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 27 იანვარი 1999 №12 (785) | ფასი 50 თეთრი

4

პირველი ჯგუფი გაისად შეთხელდება

ძველი დამსახურებისთვის შეღავათი არავის გაეწევა აცხადებს მერაბ ჟორდანია

6

კიდევ ერთი იტალიური სკანდალი?

თანაკლუბელებმა ტუტას გოლის გატანა აუკრძალეს



7

ბატონო სამარანჩ! წადით!

ახალი ოლიმპიური დევიზი: უფრო დაფარულად, უფრო მეტი, უფრო ბევრს!

8

სტეფანიამ სიეტლში ჩხუბიც მოასწრო



მანამდე კი „სონიქსისგან" №5 მაისური მიიღო



გურამ ცეცხლაშვილის ფოტო

შევარდენი — დინამო. შევარდენელებს წიკლაურის შეჩერება უძნელდებათ

საქართველოს ჩემპიონატი

10 ტური

აზოტი 122:96 კოლხა
შევარდენი 72:103 დინამო
ვითა 94:79 ასკ

გუშინ ვერის ბაღში საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო. შერისხულმა და შემდგომ შეწყალებულმა ჩემპიონმა „ვითამ" პირველობას შემატებულ არმიელებს გამთბარ დარბაზში იოლად მოუგო

იხილეთ მერვე გვერდი

მოიხსენით სარჩევი!

Australian Open

მელბურნში სენსაციებით, მოულოდნელი ტრავმებითა და ერთი რუსი ლამაზმანის აურაცხელი ორმაგი შეცდომებით სავსე პირველი კვირა მიიწურა და მეოთხედფინალების დრო დადგა. ახლა თითოეულ მატჩს ოქროს ფასი აქვს

იხილეთ მეათე გვერდი

ვინუს უილიამსს სარჩები შარად ექცა

პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

უსიყვარულოდ ცხოვრება ძნელია

საქართველოს საფეხბურთო სამყაროში ამ ბოლო წლების განმავლობაში ერთი მეტად უცნაური კანონზომიერება შეინიშნება. დღეს ბევრს აღარ უკვირს ის მოვლენა, რომ დაჩრდილა პროვინციულმა ფეხბურთმა დედაქალაქური... რა თქმა უნდა, ამაში დონეს კი არა, პოპულარობას ვგულისხმობ. ფეხბურთის პოპულარობას ხომ მისდამი ხალხის დიდი სიყვარული და ფანატიკური მხარდაჭერა განაპირობებს. არა, თბილისში ნამდვილად უყვართ ფეხბურთი, მაგრამ მხარდაჭერა... ჟამიანობამ დედაქალაქის კლუბებს ერთობ ცუდი დროება მოუტანა — ფაქტობრივად გულშემატკივართა მხარდაჭერის გარეშე დატოვა. ასეთი ყოფა კი, დამეთანხმებით, ფეხბურთელისთვის ძნელად ასატანია.

სიყვარული ბევრნაირი არსებობს. მის სიწმინდეზე კი ადამიანის ხასიათითა და საქმიანობით მსჯელობენ-ხოლმე. შეყვარებული ადამიანი — ამბიციური, ეგოისტი, პატივმოყვარე, ამპარტავანი, კეთილი, კაცთმოყვარე, რაინდი, წმინდა... სიყვარულია ყველა ამ თვისებათა თავიდათავი და მამოძრავებელი, მახინჯი თუ სპეტაკი სიყვარული.

ბოლნისი შეყვარებულთა პროვინციაა, ფეხბურთზე თავდავიწყებით შეყვარებულთა ქალაქია. სპორტისადმი უზომო სიყვარული კი ამბიციას აღვივებს. ამბიცია მაშინაა კარგი, თუ რეალობას არაა მოწყვეტილი, თუ შესაძლებლობების გათვალისწინებითაა აღმოცენებული. ბოლნისელი გულშემატკივრები თითქმის ყველასგან გამორჩეულნი არიან. „სიონის“ ქომაგებს მოკრძალებული ამბიცია აქვთ. მათთვის მთავარია, რომ მშობლიური გუნდი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გამოდიოდეს. ისინი ყოველთვის, დარსა თუ ავდარში, მზად არიან მრავლად მიაწყდნენ „თემურ სტეფანიას“ ტრიბუნებს, დატკბენ ფეხბურთის ცქერით და მხურვალედ უქომაგონ საყვარელ კლუბს. მათ კარგად უწყიან „სიონის“ შესაძლებლობები და ამიტომაც ერთხელაც არ დასცდენიათ, პრიზიორობასა და ევროსარბიელს ვისახავთ მიზნადო. ბოლნისელებს უფეხბურთოდ ყოფა ვერ წარმოუდგენიათ. ფეხბურთი მათთვის ალაღი, წმინდა სიყვარულია და შეგნებული აქვთ ჭეშმარიტება — უსიყვარულოდ ცხოვრება ძნელია... ასევე რთულია მათთვის სუსტი „სიონისა“ და უსახური ფეხბურთის ცქერა.

შემოდგომაზე მართლაც ჭარბად გავხდით უსახური ბურთაობის მოწმენი „თემურ სტეფანიას“ სტადიონზე. ყოველივეს შემოქმედად სწორედ ბოლნისური კლუბი მოგვევლინა. „სიონი“ ფაქტობრივად მოუშზადებელი შეხვდა მეათე ეროვნულს. ზაფხულზე გუნდს შეკრება კი არა, ერთი სერიოზული ვარჯიშიც არ ჩუტარება. შარშანდელი სეზონის მიწურულს კლუბს ფინანსური კრიზისი დაუდგა. „სიონი“ რამდენიმე წამყვან ფეხბურთელთან ერთად მთავარმა მწვრთნელმა ანზორ გძელიძემაც დატოვა...

„სიონი“ ახალ სეზონს ახალი მწვრთნელით შეეგება, თუმცა მალევე მოიაკლისა. ამიტომ ბოლნისელთა გამოსვლას პირველ წრეში ორ ეტაპად განვიხილავ. პირველი, ბორის დუდაურის თაკკაცობის და მეორე — „ვიტ ჯორჯიდან“ გათავისუფლებული სპარტაკ არჩვაძისა. იყო შუალედი, რომლის დროსაც „სიონს“ გუნდის უფროსი ფირუზ რეხვიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ბორის დუდაურის მეთაურობით ბოლნისელებმა ხუთი შეხვედრა ჩაატარეს, უფრო სწორად კი ოთხნახევარი. დიახ, მეხუთე ტურში „თემურ სტეფანიას“ სტადიონზე, „სიონ“ — „მერანის“ შესვენებისას, მეტად უცნაური ფაქტი მოხდა — მწვრთნელი პირდაპირ გასახდელში მოხსნეს. დუდაურის გუნდის თამაშის შემხედვარე უთუოდ იფიქრებდი, ადრე თუ გვიან მას ბოლნისიდან გუდა-ნაბადს აუკრავენო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ყოველივე ცივილიზებულად მომხდარიყო... მწვრთნელთან ერთად კლუბი ვეტერან გამთამაშებელ სეირან პოზოიანსაც დაატოვებინეს, მის შემცვლელად კი ყოფილ მერანელ გიორგი მაზანაშვილს უხმეს. მარცხენა ფლანგის გუნდი — აი, ასეთი იყო „სიონის“ ტაქტიკური სქემა დუდაურის დროს, მემარცხენე მირზა სამხარაძის და ლავრენტი გაგუას აქტიურობაზე გათვლილი ფეხბურთი. განსაკუთრებული ჯაფა კი ახალგაზრდა გარემარბ გაგუას აწვებოდა, რის გამოც ხშირად ცვლიდნენ ხოლმე. გაიგონებდით ტრიბუნებიდან — გადაიტანეთ ბურთი მეორე ფლანგზე, თორემ ცოდოა ეგ ბიჭიო.

ასე იყო, თუ ისე, პირველი მწვრთნელის ხელში „სიონმა“ ხუთი მატჩიდან მხოლოდ ოთხი ქულა აიღო და დუდაურსაც გამოეთხოვა.

თანაშემწე ფირუზ რეხვიაშვილს სამჯერ მოუწია მთავრის ფუნქცია ეკისრა, თუმც სპარტაკ არჩვაძეც ბოლნისის ხშირი სტუმარი იყო. „სიონმა“ კრიზისულ მდგომარეობას თავი ვერც ამჯერად დააღწია, მომდევნო სამ შეხვედრაში ქულაღა გაახერხა და გათამაშების ცხრილის ფსკერზეც დაეშვა. აქ კი არჩვაძე მიუშვეს საჭესთან და...

გუნდის თამაში რაღაცას დაემსგავსა. მართალია, ბოლნისელებმა ფოთში პირწმინდად დათმეს მატჩი „კოლხეთთან“, მაგრამ მწვრთნელი იმედიანი იყო, აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადაიტანა, ვეტერანთა კლუბის შემადგენლობაში ახალბედებს მიეცათ ასპარეზი და შედეგმაც არ დააყოვნა. თუმცა ვერც ძველ გვარდიას დავუკარგავთ მონდომებას. ყიფშიძე, ჯაგიდისი, ქობელაშვილი, თანაგუნდელთა მხარდამხარ ისე ირჯებოდნენ, როგორც შეეძლოთ.

სეზონის პირველ შეხვედრაში, „გურიას“ წინააღმდეგ, მასპინძელთა თამაშის ნახვამ მაფიქრებინა — „სიონს“ წლეულს გასვლაზე თუნდაც ერთი ქულის მოპოვება გაუჭირდება-მეთქი. წინაღმდეგ შემთხვევაში სასწაული უნდა მომხდარიყო. სასწაული კი მართლაც მოხდა. მე-13 ტურში ბოლნისელებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს სამტრედიაში და ცხრილში ერთბაშად სამი საფეხურით აინაცვლეს. თვითმხილველნი ამბობდნენ, ის შეხვედრა იმერლებმა უფრო წააგეს, ვიდრე სტუმრებმა მოიგესო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. მთავარი იყო, ბოლნისელებმა ძალა იგრძნეს, მომავლის ირწმუნეს, ჯგუფში დარჩენის შანსი გაიორმაგეს.

პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება კი მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სპარტაკ არჩვაძეს ამის მიღწევა ნამდვილად ძალუძს, თუ ფინანსურად ნორმალური მდგომარეობა ექნება. გუნდმა სამეორეწრეო მზადება დაიწყო. კლუბის მესვეურებს, როგორც ყოველთვის, ქალაქის ხელმძღვანელობისა და კაზრეთის ოქროს მომპოვებელი საქციო საზოგადოება „მადნეულის“ იმედი აქვთ. უფრო სწორად კი აქ მოღვაწე ავსტრალიელი კომპანიონებისა...

19 სექტემბერს, მეშვიდე ტურში, „სიონი“ — „არსენალს“ რომ მასპინძლობდა, კაზრეთში მომიწია ჩასვლა, საღამოს ბოლნისში გამოვიარე. გინახავთ ოდესმე მკვდარი ქალაქი მშვიდობიანობის დროს? ეს ბოლნისი გახლდათ. სტადიონის მისადგომთან შევჩერდი და სამ ხანდაზმულ მამაკაცს მოვკარი თვალი. ისხდნენ ქუჩისპირა სახლის კიბეზე თავდახრილნი და მდუმარენი. მივესალმე, მატჩის შედეგი კკითხე. ერთი ამომხედეს ნაღვლიანად და ხელი ჩაიქნიეს. ისევ წავაგეთო, ამოიხვნეშა ერთმა მათგანმა.

საოცარი და... საწყალი ხალხი. ცოდოა ეს ხალხი უფეხბურთოდ. მათი ერთადერთი სანახაობა ფეხბურთია. მათი ტკივილი და სიხარული „სიონი“. ძნელია იცხოვრო უსიხარულოდ...

ხვიჩა სანიკიძე

ბოლნისელთა კარის ბადე წლეულსაც ბევრჯერ შეარხია ბურთმა

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

სიონის შედეგები

1 გურია	2:2	შინ
2 დილა	0:2	სტუმრად
3 სამგურალი	4:0	შინ
4 დინამო	1:8	სტუმრად
5 მერანი	1:4	შინ
6 გორდა	1:3	სტუმრად
7 არსენალი	0:1	შინ
8 თსუ	1:1	შინ
9 კოლხეთი	0:4	სტუმრად
10 ოდიში	1:0	შინ
11 ბათუმი	0:1	სტუმრად
12 ვიტ ჯორჯია	2:1	შინ
13 იბერია	2:1	სტუმრად
14 ლოკომოტივი	0:0	შინ
15 ტორპედო	0:4	სტუმრად

	თ	გ	ყ	წ
ლავრენტი გაგუა	15	0	1	0
ბაბა მოსეშვილი	15	2	1	0
მურმან გოგოლაძე	14	2	1	0
თემურ სამხარაძე	14	0	2	0
მირზა სამხარაძე	14	3	0	0
გიორგი ყიფშიძე	14	0	1	0
არჩილ შაკაშვილი	14	2	1	0
ჯონი ჯაფიდისი	12	4	0	0
კახა გოდერძიშვილი	10	0	2	1
ელგუჯა ჯაფარიძე	10	0	0	0
ნუგზარ დალაქიშვილი	9	-24	0	0
გიორგი მაზანაშვილი	9	0	0	0
დავით სვანიძე	8	0	2	0
გივი ქობელაშვილი	8	1	0	0
გიორგი ძნელაძე	7	1	0	0
თემურ ვოლკოვი	7	-8	1	1
დავით ჯაფარიძე	6	0	1	0
სეირან პოზოიანი	5	0	1	0
გიორგი ჩალაძე	4	0	0	0
დავით ბერიძე	3	0	0	0
დავით მეტრეველი	1	0	0	0
ვახტანგ სამხარაძე	1	0	0	0
გიორგი სულთანოვი	1	0	0	0
ირაკლი ჯაფარიძე	1	0	0	0
კახა ჯაფარიძე	1	0	0	0

თ-თამაში; გ-გოლი;
ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი



15 ტური

დინამო	15	12	3	0	50:8	39
ტორპედო	15	11	2	2	42:14	35
კოლხეთი	15	8	3	4	34:25	27
ლოკომოტივი	15	6	9	0	18:6	27
ბათუმი	15	6	6	3	23:14	24
დილა	15	6	4	5	21:21	22
იბერია	15	5	3	7	26:31	18
არსენალი	15	4	6	5	19:25	18
მერანი	15	3	8	4	13:16	17
ოდიში	15	5	1	9	12:25	16
გორდა	15	3	7	5	12:18	16
სიონი	15	4	3	8	15:32	15
ვიტ ჯორჯია	15	5	2	8	15:17	14
სამგურალი	15	4	2	9	13:31	14
თსუ	15	3	4	8	14:22	13
გურია	15	3	1	11	17:39	10

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ქაიფია ამად ყაფეი

სიონი: მოსკოვში მეგონე.
დინამო: შვილი გავუშვი.
სიონი: შენ თვითონ ვერ წახვედი?
დინამო: ტრავმების შემეშინდა.
სიონი: იმ ბავშვის მამა ხარ, თუ მამინაცვალი?
დინამო: ტკივილის გემოც უნდა იცოდეს.
სიონი: მოსკოვს რომ ცრემლების არ სჯერა?
დინამო: გვარამაძის პატრონს რა მაქვს სატირალი, თანაც კოშკას წელია...
სიონი: კატის კი არა, ჩემი წელია.
დინამო: საიდან მოიტანე?
სიონი: ბაჯაღლო ოქრო — 999...
დინამო: მერე სპარტაკის იმედი გაქვს?
სიონი: მაშ, მაგის ხელში არჩვივით ვარ.
ვიტ ჯორჯია: ჰოდა, ახლა გინდა შენ ჩემისთანა ვეტექიმი.
სიონი: შენ „მერანს“ მიხედე,
ვიტ ჯორჯია: იცოდე, მერე ვაგონი წამალი არ გიშველის.
სიონი: მახარაძის ვაგონის?
კოლხეთი: ვაგონზე გამახსენდა. იმ სალაგამ ბულგარეთიდან ერთი კონტეინერი გამოგზავნა.
სიონი: ქათმები თუ წამლები?
კოლხეთი: ქვიშა.
სიონი: რაო?
კოლხეთი: ოქროს ქვიშაზე გაუყვანიათ და მოუმარჯვია ხელბარი...
სიონი: რა იცის მაგან, სადაა ოქრო.
ვიტ ჯორჯია: ალო, გისმენ! ხომ მომკალი...
სიონი: ვინაა?
ვიტ ჯორჯია: ქუთაისელი გირეკავს თურქეთიდან.
სიონი: რამ შეგაწუხა?
ტორპედო: იცოდე, უარი არ მითხრა.
სიონი: რა გინდა?
ტორპედო: ანთალიაში „ფეიენოორდი“ და „ბორუსიაა“.
სიონი: მერე მე რა შუაში ვარ?
ტორპედო: ამათ რომ ვეთამაშო, თურქი ბარიგა ქრთამს მთხოვს.
სიონი: ფულის მეტი რა გაქვს?
ტორპედო: ჩვენს ფულს ჩოილარს ეძახის, ოქრო მომთხოვა.
სიონი: შენ თავი შიგნიდან ხომ არ გექავება?
ტორპედო: ე ბიჭო, მიშველე რამე.
სიონი: არ შემიძლია.
ტორპედო: რატომ?
სიონი: კაზრეთის ოქრო ავსტრალიელი კენგურუსია უკვე.
ტორპედო: „მაკენას ოქრო“ გამიგია და კენგურუ ვინ ჯანდაბაა?
სიონი: ჯანდაბა კი არა, მაგის იმედი მაქვს ქობულეთში წასასვლელად.
დინამო: რაო? რა გითხრა იმ ვაკბატონმა?
სიონი: „ფენერბაჰჩესთვის“ მოუგია 7:0.
დინამო: გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები.
სიონი: ჰოდა, გაგათავისუფლებენ კიდეც გადასახადებისგან.
დინამო: ეგ რას ნიშნავს?
სიონი: ერთხელ ხომ იყავი მასე.
დინამო: მე რომ ვერ ვიგრძენი?
სიონი: სამაგიეროდ „ბრაგამ“ და „ბოავიშტამ“ იგრძნეს.
დინამო: რა პროკურორივით მელაპარაკები?
სიონი: აბა, რა გეგონა, 8:1 რომ მოგიგე.
დინამო: ერთი ბურთი ხომ გაგატანინე.
სიონი: ერთი ქეცბაიამაც კი გაიტანა.
დინამო: ერთი კი არა, ორი.
სიონი: ბატისტუტამ რა ქნა?
დინამო: ბატისტუტამ ვერ გაიტანა.
სიონი: მერე რას ამბობს პასარელა?
დინამო: პასარელა უკმაყოფილოა.
სიონი: გუცაევი?
დინამო: გუცაევს პასარელასი შურს...
მერანი: პასარელა ხომ ბორის დუდაურთან ერთად მოხსნეს...

ბოლნისის «სიონი». XII ადგილი



სპარტაკ არჩვაძე

გურამ დოლიძაშვილის ფოტო

სპარტაკის ჯიბეში ოქრო ჩაჩხრიალდება?

მსაჯს რომ ჰკითხოთ, მსაჯობა სად გიჭირსო, გეტყვის, ბოლნისშიო. ფეხბურთელს რომ ჰკითხო, თამაში სად გიჭირსო, ბოლნისშიო, გიპასუხებს. ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ჩინოსნებისთვის რომ გეკითხათ, პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდების რაოდენობას რად არ ამცირებთო, აუცილებლად შეგესიტყვებოდნენ, მაშინ ბოლნისში და სხვა ქალაქებში ფეხბურთი მოკვდებაო.

ჟურნალისტს რომ ჰკითხოთ, მივლინება რომელ ქალაქში გიჯობსო, ისიც ბოლნისს დაგისახელებთ.

რატომ? ამას კალმით ვერ გადმოგცემთ, ჩაბრძანდით და თავად დარწმუნდებით, ისევე, როგორც „სიონის“ მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე მოიქცა. საფეხბურთო საქართველოში ბოლნისსა და „სიონს“ მართლაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და არა მარტო სატურნირო ცხრილში...

— ახლა „სიონის“ მწვრთნელი კი ბრძანდებით, მაგრამ „ვიტ ჯორჯიათი“ დავიწყოთ. რატომ დატოვეთ გუნდი?

— პატარა ბავშვი არ ვიყავი, ჩემთვის ვინმეს მითითებები მოეცა. არ ვაპირებდი კარანახით მუშაობას. თუ მწვრთნელი ვიყავი, თავადვე უნდა გადამეწყვიტა წმინდა სპორტული საკითხები. ყოველივეს „ვიტ ჯორჯიას“ ჩავარდნის პერიოდი დამატა და კლუბის უფროსებმაც მთხოვეს, რომ... თუმცა, მანამდე უკვე გადაწყვეტილი მქონდა გუნდის დატოვება.

— როცა „სიონში“ მიხვედით, ჩემპიონატი უკვე გახურებული იყო. „სიონიც“ აგებდა და აგებდა. არ შეგეშინდათ ასეთი გუნდის ჩაბარება?

— როცა დავინახე, რომ გუნდს პოტენცია ჰქონდა, რ[illegible] ვიგრძენი, რომ ამ ბიჭებთან საწვრთ[illegible]ელ-სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის შემთხვევაში გუნდი კარგად ათამაშდებოდა, მწვრთნელობაზე მაშინ დავთანხმდი. მთავარი იყო სწორი ორგანიზაცია, დისციპლინა. დავიწყეთ ვარჯიში. ბიჭებმა მოინდომეს, საქმეს სერიოზულად მიუდგნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. როცა გუნდი ჩავიბარე, ბოლო ადგილზე ვიყავით, რამდენიმე მატჩის შემდეგ კი შვიდი საფეხურით ავინაცვლეთ. ფეხბურთელებისადმი მალლობის მეტი არაფერი მეთქმის.

— განსაკუთრებით რომელ რგოლს გამოარჩევდით?

— ნახევარდაცვას. თუმცა ვატყობ, მეორე წრიდან გაგვიჭირდება, რადგანაც გამთამაშებელმა მაზანაშვილმა დაგვტოვა და „ტორპედოში“ წავიდა. მის ადგილას ორი კაცი გვყავს შეგულებული — ან ელგუჯა, ანაც დავით ჯაფარიძე ითამაშებს შუაში.

— პრეტენზია ვისთან გაქვთ?

— არა, პრეტენზია არავისთან. თითქოს დაცვით უნდა ვიყო უკმაყოფილო, რადგანაც ბევრი ბურთი გავუშვით, მაგრამ არც მთლად ეგრეა, დაცვაში ხომ „სიონის“ ბებერი მუხა — ყიფშიძე თამაშობდა.

— თავდამსხმელებზე რას იტყვით?

— გული მწყდება, როცა თამაშს თავს ანებებს ისეთი საშიში თავდამსხმელი, როგორიც ჯონი ჯაგიდისია. თქვენ წარმოიდგინეთ, ვფიქრობ, ცოტა ადრეა, მას კიდევ შეუძლია მეტოქეების დაფრთხობა. მის თამაშზე არაფერი მეთქმის, მუდამ ასრულებად დავალებას. მეორე წრიდან კი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ახალგაზრდა ისიანს გამოვცდით.

— რომელი თამაშები დაგამახსოვრდათ?

— „ლოკომოტივთან“ ბოლნისში და „იბერიასთან“ სამტრედიაში. მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამ ბიჭებთან ერთად შეიძლება წარმატებაზე ფიქრი. ოღონდ მცირეოდენი პირობები მაინც უნდა შეგვიქმნან.

— ყველაზე ცუდი მოსაგონარი?

— ბათუმში. 0:1 ვაგებდით და ბოლო წუთზე ისეთი მომენტი გაგვიცუდდა, რომლის არგატანაც ცოდვა იყო. ის რომ შეგვეგდო, ბათუმიდან ქულას წამოვიღებდით.

— „გორდასთან“ რაღა მოგვიდათ? შინ 1:4 წაგება იქნება? თანაც თასზე, როცა რუსთავში ფრედ ითამაშეთ.

— პირველ მატჩში, სტუმრად, ახალგაზრდები გამოვცადეთ, მათ მივეცით თავის გამოჩენის საშუალება და ნახევარზე მეტი საქმე გააკეთეს. ბოლნისში მინიმალური მოგებაც ხელს გვაძლევდა, თუმცა ვატყობდი, გაგვჭირდებოდა, ბიჭები თავდაჯერებულები, მოდუნებულნი ჩანდნენ. როგორც შემეძლო, განვაწყვე საბრძოლველად, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ისე, ერთიცაა — შესვენებამდე ხუთჯერ გავედით მეკარესთან პირისპირ და ვერ გავიტანეთ. „გორდა“ კი პირველივე დარტყმულით დაწინაურდა. აწი ჭკუას ვისწავლით, რუსთაველებთან მარცხი ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო.

— რომელი გუნდი მოგეწონათ?

— ქუთაისის „ტორპედო“ თამაშობდა ბრწყინვალედ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა გუნდი შუა გზაზე მიატოვა, მათ მაინც ჩინებულად ითამაშეს.

— ფეხბურთელი?

— ტორპედოელები, ჯანაშია და ჯინჭარაძე.

— თქვენი გუნდიდან ვის ემადლიერებით?

— ყიფშიძეს. ძალიან გონიერი, ფეხბურთის მოყვარული კაცია. „სიონის“ დაცვის ბურჯი იყო.

— ბევრი ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან?

— ქობელაშვილი, ძნელაძე და ჯაფარიძე... ალბათ, დავით მეტრეველიც დაგვტოვებს. ჯაგიდისზე და მაზანაშვილზე უკვე გითხარით. მათი შესაძლო შემცვლელები კი პირობების შეთავაზებას ელიან. ჩვენთან კი ვარჯიშობენ, მაგრამ ჯერ ადრეა მათ გუნდში ჩარიცხვაზე ლაპარაკი.

— მოსამზადებელ გეგმებზეც გვითხარით.

— მომავალი გაურკვეველია. ჯერჯერობით კი დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. პირობები არ გვაქვს. ეგერ ვარჯიშისას ერთი ბიჭი უგონოდ დაეცა, მშიერი იყო და იმიტომ. თუ ფეხბურთელებს საჭმელი არ აჭამე, არ დაასვენე, შეკრება არ მოუწყვე, მაშინ რომელ კარგ შედეგზეა[illegible] ლაპარაკი? ამ გაჭირვების ჟამს მსურს, გუნდის ფაქტობრივ პატრონს, ბატონ მერაბ ჯაფარიძეს გადავუხადო მადლობა. „სიონი“ რომ არსებობს, მისი დამსახურებაა. რამდენჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ხელფას-პრემიებს დანატრებული ფეხბურთელები საერთოდ არ აპირებდნენ თამაშს, მაგრამ მისი სიტყვები შეუსმენიათ, პატივი უციათ და ხათრით გასულან მინდორზე. რა ვიცი, მერაბ ჯაფარიძე მაქსიმალურად კი გვეხმარება, მაგრამ მარტო მისი მონდომება საკმარისი არაა. გუნდს სხვებმაც უნდა მიაქციონ ყურადღება.

— საშველი არ ჩანს?

— კაზრეთში თითქოს ავსტრალიელები საქმიანობენ... დაპირებების მსგავსიც წამოვიდა მათი მხრიდან. თვეში 20 ათას დოლარზეა ლაპარაკი და ვნახოთ, რა ვიცი, ეგებ მართლაც გვეშველოს. სანაცვლოდ რეკლამა გაგვიკეთეთო, გვეუბნებიან. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ, რეკლამაზეც არ ვალაპარაკებთ, ოღონდ კი საქმე გაკეთდეს. აი, ასეთი პერსპექტივაა.

— ეგ ძალიან კარგი იქნება. წარმატებებს გისურვებთ. ბოლოს კი... „სიონის“ მწვრთნელს ესაუბრებოდე და ბოლნისელ ქომაგებზე არ ჰკითხო, არ იქნება.

— მართლაც თავგადაკლული გულშემატკივრები გვყავს, ფეხბურთში კარგად გარკვეული. მათ გამარჯვებულის დაფასებაც იციან და წაგებულის დამშვიდებაც, ოღონდ განზრახ ტენდენციურ მსაჯობას ვერ იტანენ. თუ არბიტრი კარგად იმსაჯებს, პირიქით, მადლობასაც ეტყვიან, თუ არადა, „სიონმა“ რომც გაიმარჯვოს, მსაჯს მაინც გალანძღავენ. ჩვენი ქომაგი გუნდისთვის მეთორმეტე ფეხბურთელია. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, თითქმის წაგებული თამაში მათი შეგულიანების შემდეგ მოგვიგია. ისეთი გულშემატკივრები არიან ბოლნისში, „სიონის“ ვარჯიშებსაც კი არ აცდენენ.

ბუბა ინასარიძე

ლავრენტი გაგუა: სოხუმელებს ღირსებას დავუბრუნებ

ლავრენტი გაგუა (მარჯვნივ) ერთ დროს მცველი გახლდათ

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

„მრეტები“, 18-წლამდელთა ნაკრები, „ივერია“, უკრაინული შეპეტოვკის „ტემპი“, „აკადემია“, „შევარდენი 1906“, თსუ — 22 წლის ლავრენტი გაგუამ ყველა ამ გუნდში მოასწრო თამაში. მისი დებიუტი კი სოხუმის „ცხუმში“ შედგა. ნიკა ამირეჯიბმა ჯერ კიდევ დაუღვინებელი 15 წლის ბავშვი ოჩამჩირეში, „ამირანის“ წინააღმდეგ მარჯვენა ნახევარმცველად გაამწესა. დებიუტმა გაამართლა. ლავრენტი გაგუას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ...მერე ომი დაიწყო. ორივე ფეხში დაჭრილი მამა, ოთარ გაგუა, დედა და ძმა თბილისში აღმოჩნდნენ. ლავრიკა ბოლომდე მშობლიურ ქალაქში დარჩა. რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად სასწაულებრივად გამოაღწია ცეცხლის ალში გახვეული სოხუმიდან... ...ისევ ფეხბურთი. ბოლნისის „სიონი“ გაგუას ბოლოდროინდელი სარბიელია. პირველ წრეში გუნდის მარცხენა ნახევარმცველი მართლაც ყველასგან გამორჩეული იყო.

— თსუ-დან რატომ წახვედი?

— ძირითადში მოსახვედრად დიდი კონკურენცია იყო. ყველანაირად მოვინდომე, მაგრამ მწვრთნელები რატომღაც არ მწყალობდნენ. შემდეგ ანზორ გძელიძე დამიკავშირდა და „სიონში“ მიმიწვია, თანაც დამპირდა, შენს ამპლუაში, მარჯვენა მცველად გათამაშებო. მეტად პრინციპული მატჩი გვქონდა „ბათუმთან“. ხშირად ვერთვებოდი შეტევებში. ბოლო წუთზე მოვახერხე მეკარესთან პირისპირ გასვლა და თანაგუნდელს საგოლე მომენტი შევუქმენი. ის შეხვედრა მოვიგეთ. ამის შემდეგ მარჯვენა ნახევარმცველად გამამწესეს.

— ახლა რომ მარცხნივ თამაშობ?

— ეს ადგილიც გძელიძემ მომინახა. მარცხენა მცველადაც გამომცადა და აქაც მთელ ფლანგზე მიწევდა მოქმედება. წინ წასვლისას ძალიან კარგად ვუგებდი ბუბა ტყავაძეს და ჯონი ჯაგიდისს. ამან შედეგი გამოიღო. ჰოდა, ანზორ გძელიძემაც კარგად შეამჩნია, რომ მარცხენა ჰავბეკად უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემეძლო.

— პირველი წრე სუსტად დაიწყეთ.

— ჩვენი გუნდი მოუმზადებელი შეხვდა სეზონს. შეკრება საერთოდ არ გვქონდა და ამან განაპირობა ყოველივე.

— „სიონის“ თავკაცს ბორის ლუდაურს ბევრი რამ დაბრალდა.

— ყველაფერში მისი დადანაშაულება არ შეიძლება. წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მაინც ჩვენი უვარჯიშებლობა გახლდათ. თუმცა დუდაურმაც ვერ გაართვა საქმეს თავი. პირველ მატჩში „გურიასთან“ მე და მურმან გოგოლაძე არ დაგვაყენა ძირითადში. ბოლოს შეგვიყვანა მინდორზე და ქულის გადარჩენაღა შევძელით. სწორედ არასწორი შეცვლების გამო გაათავისუფლეს. პრესაშიც დაიწერა, რომ დუდაურის გაშვების ერთ-ერთი საბაბი „მერანთან“ მეორე ტაიმში ჩემი და ჯაფარიძის მოძნიდან გაყვანა იყო. თვითონ კი ამტკიცებდა, მე არაფერ შუაში ვიყავიო...

— ხალხი შენს თამაშს ითხოვდა?

— ტრაბახში არ ჩამომართვათ, მაგრამ მართლაც მასე იყო. მეც ვცდილობდი, გულშემატკივრების ნდობა გამემართლებინა. სად არ მითამაშია, მაგრამ ასეთ ქომაგებს არსად შევხვედრივარ.

— პირველ წრეში „სიონის“ გამოსვლას როგორ შეაფასებ?

— სანამ არჩვაძე მოვიდოდა, მართლაც ძალიან სუსტად გამოვდიოდით. ამ კაცმა უამრავი სასიკეთო საქმე გაუკეთა „სიონს“. შინ ერთი თამაშიც არ წაგვიგია. „ლოკომოტივთან“ უნდა მოგვეგო კიდეც, მაგრამ მსაჯებმა გაგვწირეს. სამტრედიაში ზღაპრივით სამი ქულა ავიღეთ. თუ არჩვაძეს ნორმალურ პირობებს შეუქმნიან, დარწმუნებული ვარ, „სიონი“ რვა საუკეთესო კლუბს შორის მოხვდება.

— თასის გათამაშებაში კარგი შანსი გქონდათ, მაგრამ...

— რუსთავში 0:0 რომ ვითამაშეთ, დარწმუნებული ვიყავით ჩვენს წარმატებაში. ზედმეტმა თვითდაჯერებამ დაგვლუპა.

— რა მიგაჩნია შენს, როგორც ფეხბურთელის, ნაკლად?

— მე უფრო შემქმნელი ვარ და დაგირგვინებაში ცოტა მოვიკოჭლებ. საჯარიმოში შესული ხშირად ვეძებ პარტნიორს და... შემდეგ ირკვევა, რომ საგოლე სიტუაციაში ვიმყოფებოდი.

— თანაგუნდელებიდან ვის გამოარჩევ?

— ჩემს ფლანგზე მოთამაშე მირზა სამხარაძეს, თავდამსხმელებს — ბახვა მოსეშვილს და ჯონი ჯაგიდისს. მათთან კარგად ვიყავი შეთამაშებული. ცოტა გვიან შემოგვიერთდა გამთამაშებელი გიორგი მაზანაშვილი. იგი დიდ ძალას წარმოადგენდა მოედნის შუაში. მასაც უსიტყვოდ ვუგებდი მინდორზე.

— ფავორიტებად ვის მიიჩნევ?

— „დინამოს“ კონკურენტებად „ტორპედოს“ და „ლოკომოტივს“ ვთვლი. ამ ორს შორის ქუთაისის გუნდს გამოვარჩევ. მას ტრადიციაც მოსდევს. რკინიგზელთა კლუბი კი უფრო ახალი ჩამოყალიბებულია. თუმცა ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. წინასწარ განჭვრეტა ძნელია.

— „სიონის“ მომავალი როგორ გესახება?

— შეკრების მოწყობა აუცილებელია, სხვანაირად შედეგის მიღწევა სათუოა. ახლა მინი-ფეხბურთის ტურნირი იწყება, მაგრამ დარბაზის და მინდვრის ფეხბურთი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ნორმალური ვარჯიშისა და პირობების გარეშე მიზნის მიღწევა გაჭირდება.

— შენი საფეხბურთო ოცნება?

— ჩემი ოცნება ეროვნულ ნაკრებში თამაშია. თავს შევაკლავ მის ასრულებას. მე სოხუმელი ვარ და მსურს, ჩემს თანაქალაქელებს ეროვნულ ნაკრებში თამაშით კიდევ ერთხელ განვაცდევინო სოხუმის ღირსების შეგრძნება. მწამს, ეს დრო აუცილებლად დადგება. მჯერა, დიდ ფეხბურთს ვითამაშებ.

ხვიჩა სანიკიძე

აბრეშუმის ჭია ბავშვებს შეესია

გაჭირვებულები ერთ სეზონსაც ითამაშებენ

მერაბ ჟორდანიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გავიდა. მკითხველს მაშინდელი ექსკლუზიური ინტერვიუც ემახსოვრება, ახალმა პრეზიდენტმა პირველად „სარბიელს“ რომ მისცა. ეგ იყო და ეგ. მას მერე მერაბ ჟორდანია აღარ შეგვინუხებია. არც მიზეზი მოგვცეშია. თუ რამ აქტუალური იყო, პრეზიდენტი უმალ საპრესკონფერენციოდ გვიბარებდა, ამომწურავად გვპასუხობდა. ესეც რომ არა, ფედერაცია უკვე იდუმალებით მოსილ იმ ორგანიზაციას აღარ ჰგავს, სადაც ინფორმაციის მისაღებად ნემსის ყუნწში უნდა გამძვრალიყავი.

ახლა კი მერაბ ჟორდანიასთან ერთმა მნიშვნელოვანმა ამბავმა მიგვიყვანა. საქმე ისაა, რომ მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევით ინსტიტუტი ამჟამად „ნორჩი დინამოელის“ ტერიტორიაზე მდებარე ნახევრად დანგრეულ ნაგებობაზე ოდინდელი, ნიკოლოზის დროინდელი უფლებების აღდგენას ითხოვს. შენობა მართლაც ავარიულ მდგომარეობაშია, 600-800 კვადრატული მეტრის თავისუფალი მიწის ფართობით. იქ დღესდღეობით თურმე კვლევითი ინსტიტუტის სამი თანამშრომელი სახლობს. სათანადო შეკეთების შემდეგ კი ინსტიტუტი მეაბრეშუმეობა-მეთუთეობის კათედრის, აბრეშუმის ტექნოლოგიისა და მეთუთეობის განყოფილების განთავსებას აპირებს. მათ ორი უსახური, ცემენტის საჭიე შენობა მუშაობისთვის არ ჰყოფნით და ახლა „ნორჩი დინამოელისთვის“ უთხოვიათ, მუშტაიდის ბაღში მდებარე ეგ ორსართულიანი ნაგებობა ჩვენვე დაგვიბრუნეთო.

სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამბობს, „ნორჩი დინამოელი“ უკანონოდ მითვისებული ქონების უმნიშვნელო ნაწილის დაბრუნებაზეც უარს აცხადებსო.

ერთი სიტყვით, ფედერაციის პრეზიდენტთან საუბრის მიზეზი სწორედ მეაბრეშუმეობა-მეთუთეობა იყო. თუმცა ლაპარაკს რომ შევყევით, წმინდა საფეხბურთოც ვთქვით. 200 ათასი დოლარის ექვივალენტური ლარის საგარანტიო წერილის აუცილებლობას და გაისიდან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთა შემცირებაზე ფედერაციის მუშაკთა ნათქვამს ბევრი გუნდის წარმომადგენელი აუნერვიულებია.



მერაბ ჟორდანია

— აუცილებელია, ესოდენ საპატივცემულო დარგი, როგორიც მეთუთეობაა, მუშტაიდის ბაღში, „ნორჩი დინამოელის“ ხარჯზე აღდგეს? — აქეთ გვკითხა მერაბ ჟორდანიამ და განაგრძო — კი ბატონო, ასე იყოს. თუ ეს ისეთი დარგია, რომელიც ქვეყანას ფეხზე დააყენებს, მზად ვართ, „ნორჩი დინამოელი“ მთლად გავაუქმოთ და სასწავლო-კვლევით ინსტიტუტს გადავცეთ ის ტერიტორია. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ადგილას თურმე საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი ყოფილა. ვერ გამიგია, ბავშვთა ფეხბურთის ხარჯზე სურთ დარგის აყვავება?

— როგორ ფიქრობთ, რა საფუძველი უნდა ჰქონოდა ინსტიტუტის დირექტორს, ასეთი განცხადება რომ გაეკეთებინა?

— რა ვიცი, თითქოს რაღაც ძველი საბუთები არსებობს, რომლებშიც წერია, რომ ის ტერიტორია მათი საკუთრებაა. მართალია, იმ დოკუმენტებში ჩახედული ნაკლებად ვარ, მაგრამ არა მგონია, ინსტიტუტის დირექტორს ისეთი ხელმოსაჭიდი რამ ჰქონდეს, პრეტენზია ასე სერიოზულად გამოეთქვა.

— საქმე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ ორსართულიან შენობას ეხება...

— ჩვენ ტერიტორიის კეთილმოწყობა გვაქვს ჩაფიქრებული. თანამედროვე ბავშვთა საფეხბურთო კომპლექსი უნდა ავაშენოთ, თავის სასტუმროთი. მეთუთეობა კი ხელს შეგვიშლის.

— გავიგეთ, ვითომდა კვლევითი ინსტიტუტი სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.

— მეც გავიგე, მაგრამ ამის არ გვეშინია. აქამდეც არაერთ უსაფუძვლო ბრალდებაზე მოგვიხდა პასუხის გაცემა და ამასაც ავიტანთ.

— თქვენს სიმართლეში დარწმუნებული ბრძანდებით? იქნებ ის ხალხი მართალია?

— ხომ გითხარით, საბუთებში მთლად ჩახედული არ გახლავართ. მიჭირს იმის თქმა, რომ მართლები არიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ — ეგ ტერიტორია ბავშვებს უფრო გამოადგებათ.

— კეთილი. ახლა სხვაზე ვთქვათ. თქვენი პრეზიდენტობისას „დინამოს“ საგადასახადო შეღავათები მიეცა. სწორედ ამის გამო იყო, „დინამოს“ დანაშაულსა თუ უდანაშაულობას სამი წელი რომ ძიებდნენ. აქედან გამომდინარე და იქიდანაც, რომ „დინამო“ გამართლდა, ხომ არ აპირებთ, პრეზიდენტს ხელმეორედ სთხოვოთ ამჯერად მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის შეღავათების დაწესება?

— უკვე იმდენი გამოცდილება შევიძინე, რომ საბოლოოდ დავრწმუნდი — გადასახადებისგან გათავისუფლება არარეალურია. ამას არც ქართველი სახელმწიფო მოხელეები დათანხმდებიან, არც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა თუ სხვა საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ქვეყანა დღეს მეტად გაჭირვებულ ყოფაშია და შეღავათებისთვის არ სცალია. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ვეძებთ გზებს, ვფიქრობთ, თუ რა სახის დახმარების გაწევა შეუძლია სახელმწიფოს. მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით თითქმის შემუშავებულია ფეხბურთის განვითარების მრავალწლიანი პროგრამა. ხშირი კონტრაქტი გვაქვს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ზაზა შენგელიასთან. ერთი სიტყვით, ბევრს ვმუშაობთ და გამოსავალს ვეძებთ. ჩემი აზრით, სახელმწიფოს მხოლოდ იმით შეუძლია დაგვეხმაროს, რომ ფიფადან და უეფადან დახმარების სახით მიღებული თანხები არ დაგვიბეგროს. ეს თუ მოხერხდა, ძლიერ ვიხერხებთ, ოდნავ წელში გავიმართებით.

— ახლა იმ 200 ათასზე გვითხარით. მით უმეტეს, თქვენ და გენერალური მდივანი რამდენიმე კლუბის პრეზიდენტს უკვე შეხვდით. ალბათ, ამ თემაზეც ისაუბრებდით. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ გუნდები ამხელა თანხის გარანტიას მოგცემენ?

— რატომღაც ბევრი გუნდის წარმომადგენელმა ჩემი უწინდელი განცხადება არასწორად გაიგო. 200 ათასი დოლარის ექვივალენტური თანხის ფედერაციის ანგარიშზე ჩარიცხვას ჩვენ არ ვითხოვთ. უბრალოდ, ვამბობთ, რომ თითოეულმა კლუბმა ზემოაღნიშნული თანხის არსებობის გარანტია მოგვცეს.

ფედერაციამ უნდა იცოდეს — ჩემპიონატში მონაწილე გუნდი გათამაშებას შუა გზაზე არ მიატოვებს. ყველა ჩამთავრებს სეზონს და ფინანსური პრობლემა არ შეაწუხებს. აი, ამას ვითხოვთ. ამდენი ფული ნებისმიერ გუნდს ეხარჯება ერთი წლის განმავლობაში. ამაში ყველა თბილისური გუნდის პრეზიდენტი დაგვეთანხმა. მათ მოიწონეს ჩვენი იდეა და აქეთ გვითხრეს, ამ პროექტის დახვეწაში ჩვენ დაგეხმარებითო. გარდა ამისა, კონტრაქტების სრულყოფაზეც ვმუშაობთ, ფეხბურთელმა და გუნდმა ურთიერთობა უპრობლემოდ უნდა გაარკვიონ. ამის საწინდარი კი სწორად დადებული ხელშეკრულებაა.

— ერთ მაგალითს მოგიყვანთ. რუსთავის „გორდას“ მწვრთნელმა ორიოდ დღის წინ გვითხრა, ორი წლის განმავლობაში ხელფასი ერთხელ ავიღე, ისიც 100 ლარიო. ეგერ ჯონი ჯანელიძე გამოიქცა ლანჩხუთიდან, „ოდიშსაც“ ბევრი პრობლემა აქვს. არიან კი ასეთი გუნდები 200 ათასის გარანტიის მომცემი?

— კითხვაზე კითხვითვე გიპასუხებთ: გვჭირდება კი ასეთი გუნდები ეროვნულ ჩემპიონატში? კი ბატონო, ჩვენ ყველა გუნდს პატივს ვცემთ, ყველასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. გვესმის, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე გუნდები არიან, მაგრამ ძველი დამსახურებისთვის შეღავათი არავის უნდა ჰქონდეს. როცა ერთი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მეორე, მესამე, ფეხბურთელსა თუ მწვრთნელს ხელფასს არ აძლევს, ეს გადამდებია. პროცესი ჯაჭვურად მიმდინარეობს. მერე შეიძლება სხვებიც ამათ დაემსგავსონ. ყოველივე ეს დანარჩენებზე ცუდ გავლენას ახდენს და თუ ამის გამოსასწორებლად რადიკალური ზომები არ მივიღეთ, ძველებურადვე დავრჩებით. მივყვეთ დინებას? მგონი, ასე არ ივარგებს. სხვაგვარად ავჯობებს.

— ბოლოს ერთიც. შეგიძლიათ თქვათ, რომ მომავალ ჩემპიონატში გუნდების რიცხვი შემცირდება?

— მე სხვა რამ შემიძლია ზუსტად გითხრათ — XI ჩემპიონატში ეს არ მოხდება. სამაგიეროდ, XII ჩემპიონატში კლუბების რაოდენობა შემცირდება. საკითხს უახლოეს აღმასკომის სხდომას წარვუდგენთ დასამტკიცებლად. ჯერ საბოლოოდ არ გადაგვწყვეტია, წელიწადნახევრის შემდეგ პირველ ჯგუფს რამდენი გუნდი შემორჩება, მაგრამ იგი უეჭველად შეთხელდება. იცით, არასწორი იქნება, პირველი წრის შემდეგ ავდგეთ და ვთქვათ, საგაისოდ გათამაშებაში ამდენი გუნდი დარჩებაო. მაშინ სპორტული პრინციპი დაირღვევა. ამიტომაც ვარჩიეთ, მომავალი სეზონი ისევ 16 გუნდით დავიწყოთ. ყოველივე საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებთან, სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ. თუმცა აწიც სიამოვნებით მოვისმენთ დაინტერესებულთა აზრს.

ძოგა ინასარიძე

დინამო შინისკენ

დინამო 3:5 დნეპრტრანსმაში

1:0 ასათიანი (11), 1:1 ლანკო (12), 1:2 ოგოროდნიკი (18), 2:2 მიქაძე (21), 3:2 შენგელია (34), 3:3 ჩუმაჩენკო (35), 3:4 ოგოროდნიკი (44), 3:5 ჩუმაჩენკო (90)

დინამო: გვარამაძე, რუხაძე, მაჭავარიანი, აბრამიძე, ქემოკლიძე, ასათიანი, ხიზანიშვილი, გაგუა, გ. შენგელია, გ. მიქაძე, შაშიაშვილი

სათადარიგონი: ნიკურაძე, გველესიანი, აფციაური, ტყვებუჩავა, ი. შენგელია, საჯაია

მსაჯი: ი. ბასკაკოვი (რუსეთი)

ბაღდო ჯორჯაძის ფოტო

იმ შეხვედრის დებიუტი, რომელსაც ქვემო დივიზიონში გასავარდნის ვინაობა უნდა გაერკვია, სწრაფი, ორმხრივი შეტევებით აღინიშნა. მაყურებლები მოკალათებულნი ძლივს იყვნენ ტრიბუნებზე, ანგარიში რომ გაიხსნა და მაშინვე გათანაბრდა. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე თანაბარი თამაში გრძელდებოდა. როდესაც მოგილიოველთა მწვრთნელმა ვალერი სტრეკალოვმა ვერ აიტანა ასეთი დატვირთვები, მეკარე შეცვალა. იქვე ბელარუსმა თავდამსხმელმა დმიტრი ოგოროდნიკმა შეძლო გატანა და თავისიანებიც დააწინაურა. 4:3 — პირველი ტაიმიც იქვე დასრულდა.

რა თქმა უნდა, „დინამოს“ ასეთი ანგარიში არ აწყობდა, რადგან თბილისელებმა უკვე ორჯერ წაადგეს ჯგუფში და მორიგი, მესამე მარცხის შემთხვევაში ქართველები თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის მომავალ გათამაშებში რანგით დაბალ — „პირველ დივიზიონში“ გადაბარგდებოდნენ.

მეორე ტაიმი, პირველისგან განსხვავებით, შედეგიანობით არ გამოირჩა. ცვლილებები, შეხლა-შემოხლა და უხეშობა — სულ ეს იყო ორივე გუნდის ფეხბურთელთა დამსახურება. და მაინც, შეხვედრის მიწურულს „დნეპრტრანსმაშმა“ მოახერხა და მეხუთე გოლი გაიტანა, ეს იგორ ჩუმაჩენკომ შეძლო.

სერგეი კოროლიოვი, *„ოგონიოკი სპორტი“*

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისის ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა „ლივერპულმა“ იტალიის სერია A-ს გუნდ „სალერნიტანასგან“ 2,6 მილიონ გირვანქად კამერუნელი მცველი რიგობერტ სონგი შეიძინა. 21 წლის სონგი ერთადერთი ფეხბურთელია, ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გაუძევებიათ. 1994 წელს მას წითელი ბარათი ბრაზილიასთან მატჩში უჩვენეს, შარშან ზაფხულში კი ჩილელებთან თამაშისას. სონგი პრემიერლიგაში სავარაუდოდ 30 იანვრის ითამაშებს. „ლივერპულის“ ხელმძღვანელებმა ასევე განაცხადეს, რომ მათ ნორვეგიელი ნახევარმცველის ოივინდ ლეონარდსენის გასხვისება სურთ. სკანდინავიელ მოთამაშეში ისინი 4,1 მილიონ დოლარს ითხოვენ. უკვე გაირკვა, რომ კიდევ ერთი ლივერპულელი ჯეისონ მაკატირი „ბლეკბერნ როვერსში“ გადადის. სავსებით შესაძლებელია, სეზონის ბოლოს „ლივერპული“ დევიდ ჯეიმსმა, ფილ ბებმა, დენი მერფიმ და რობ ჯონსმა დატოვონ.

ჰოლანდიელი მცველი მიხაელ რაიციგერი ორი თვით გამოაკლდა „ბარსელონას“. მან მუხლის ტრავმა მიიღო და სამშობლოში გაემგზავრა სამკურნალოდ. თუ „ბარსელონას“ ერთი ჰოლანდიელი მცველი დააკლდა, სამაგიეროდ, მეორე შეემატა — უინსტონ ბოგარდი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ არ უთამაშია, გუნდს შეუერთდა. ბოგარდმა დაიწყო ვარჯიში და მალე, ალბათ, ძირითადშიც გამოჩნდება.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის ვიაჩესლავ კოლოსკოვის თქმით, ქვეყნის ნაკრები თებერვალში ირანს და ისრაელს ესტუმრება და მათ ამხანაგურად გაეჯიბრება. ორივე მატჩი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მოსამზადებლად დაგეგმა. კოლოსკოვის განცხადებით, რუსეთი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ანდორას 31 მარტს შავი ზღვისპირა კურორტ სოჭში უმასპინძლებს.

ისრაელის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ჰაიფას „მაქაბის“ თავდამსხმელი ალან მიზრაჰი საფრანგეთის ოთხგზის ჩემპიონ „ნიცაში“ გადაბარგდა. საფრანგეთის მეორე დივიზიონის კლუბმა ფორვარდში მილიონნახევარი დოლარი გადაიხადა. ჰაიფას „მაკაბი“ მიზრაჰის სანაცვლოდ თურქეთის „ბურსასფორში“ დროებით გათხოვებული რონენ ჰარაზი დაიბრუნა. „ნიცამ“ ასევე ფრანგი წინახაზელი ლიონელ პრატი შეიძინა. ამ ფეხბურთელში ქვეყნის თასის 1997 წლის მფლობელებმა არაფერი გადაიხადეს, რადგან პრატს „ლე ავრთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა.

გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა იურგენ კლინსმანმა, რომელსაც ბუნდესნაკრების ღირსება 108-ჯერ დაუცავს, განაცხადა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გერმანიაში ჩატარების მომხრეთა კამპანიაში მონაწილეობას არ მიიღებს. იურგენ კლინსმანმა ეს იმით ახსნა, რომ გერმანიის ფეხბურთის კავშირი მას უსამართლოდ მოექცა, როცა გამოსათხოვარი მატჩის გამართვაზე უარი უთხრა. ქვეყნის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, კლინსმანს შევთავაზეთ, 6 თებერვალს, გერმანია — აშშ-ს ამხანაგური შეხვედრის შესვენებისას, მის პატივსაცემად ათწუთიანი ცერემონიალი მოგვეწყო, მაგრამ იურგენი არ დაგვთანხმდაო. თავად ფეხბურთელმა თქვა შეხვედრას საერთოდაც ტელევიზორით ვნახავო. იურგენ კლინსმანს, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონს, ნაკრებში ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ხორვატებთან 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ აღარ უთამაშია.

ინგლისის პრემიერლიგის კლუბმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ კამერუნელი ნახევარმცველი მარკ ვივიენ ფოე შეიძინა. ლონდონელებმა ფრანგულ „ლანსს“ 2 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ფოეს ნაკრებში 30 მატჩი ჩაუტარებია. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატშიც მონაწილეობდა. „ლანსს“ იგი სწორედ მაშინ შეუერთდა.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი, მსოფლიოს ჩემპიონი ემანუელ პეტი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელი ასოციაციის თასის მეოთხე წრის შეხვედრაში, „ვულვერჰემპტონთან“ თამაშისას გააძევეს. პეტისთვის ეს მეორე წითელი ბარათია ამ სეზონში. პირველად იგი აგვისტოში, „ჩარლტონთან“ მატჩისას მიაბრძანეს მინდვრიდან. „არსენალის“ ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა პეტის გაძევება უსამართლოდ მიიჩნია. სხვათა შორის, რაც იგი „არსენალს“ სათავეში ჩაუდგა, მსაჯებმა ამ კლუბის ფეხბურთელები 19-ჯერ გააგდეს მოედნიდან.

ჟუნინიოს „ატლეტიკოს“ დატოვება სწადია, თუმცა დარჩენაც სურს

უნდა და თან არ უნდა

დიდი გაურკვევლობაა.

„ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ჟუნინიო აღარ სჭირდება, თავად ფეხბურთელს მადრიდში დარჩენა სწადია, მის გადასაბირებლად კი უცხოური კლუბები იბრძვიან.

ვინ? სად? რატომ? რისთვის? ყველა ეს კითხვა ჟუნინიოსკენაა მიმართული. სად გადავა? როდის გადავა? წავა კი საერთოდ? რატომ უნდა წავიდეს? ჯერჯერობით ყველაფერი უცნობია. ფეხბურთელის მსურველი გუნდები ამბობენ, სიტუაციას მალე მოეფინება ნათელიო. ერთი სიტყვით, დღესდღეობით ჟუნინიოს მომავალზე დაბეჯითებით არავინ არაფერი უწყის.

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, ვიგოს „სელტასთან“ პრინციპული შეხვედრის წინ გაცხადდა, რომ „ატლეტიკოს“ იტალიელი მწვრთნელი ბრაზილიელ გამთამაშებელს ძირითად შემადგენლობაში არ აყენებდა. ერთი შეხედვით საკის გადაწყვეტილება მოულოდნელი ჩანდა. თუმცა, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ჟუნინიოს არყოფნა ობიექტური მიზეზებით ყოფილა განპირობებული.

იმ მატჩში ჟუნინიომ ბოლო წუთებში მაინც ითამაშა, მაგრამ მას ეს, ცხადია, არ აკმაყოფილებდა.

— „ატლეტიკო“ ნიჭიერი ფეხბურთელებით მდიდარია. ნახევარდაცვის ცენტრში ორი ძლიერი მოთამაშე მყავს — ხუან კარლოს ვალერონი და ჟუნინიო, თუმცა მე მაინც ვალერონს ვამჯობინებდი. იგი დღესდღეობით უკეთეს ფორმაშია, თანაც ჟუნინიოს სხვა საკითხები უფრო აღარდებს — თქვა არიგო საკიმ, როდესაც ჟუნინიოს თაობაზე ჰკითხეს.

ხუან კარლოს ვალერონი დღესდღეობით მართლაც კარგად თამაშობს, ჟუნინიო კი ნამდვილად სხვა რაღაცაზე ფიქრობს. გამოდის, რომ საკის გადაწყვეტილება მართებული ყოფილა.

ბოლო ორი კვირაა, ინგლისის კლუბებმა, კერძოდ, „ასტონ ვილამ“ და „მიდლსბრომ“ ბრაზილიელის შეძენა მოიწადინეს. განაცხადეს კიდეც ამის თაობაზე. სწორედ მას შემდეგ წახდა ჟუნინიოს თამაში — ფეხბურთელი ვერა და ვერ ირჯებოდა სათანადოდ, შედეგიც შესაბამისი იყო — იგი მოედნიდან სათადარიგო სკამზე გადასვეს.

ამასობაში ბირმინგემის „ასტონ ვილა“ ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, ჟუნინიოს შესაძენად ემზადება. კლუბის მწვრთნელი ჯონ გრეგორი პირადად ესაუბრა კლუბის თამჯდომარე დაგ ელისს და ფეხბურთელის გადასაბირებელ 17 მილიონი დოლარის გამოყოფაზე დაითანხმა.

ფული გაჩნდა, სურვილიც არის. რჩება მხოლოდ მოთამაშის გადაწყვეტილება.

— მართალია, დღესდღეობით მიჭირს „ატლეტიკოში“ ადგილის დამკვიდრება, მაგრამ ვეცდები, ჩემი გავიტანო, თუ არაფერი გამომივიდა, ბედს სხვაგან ვცდი. თუმცა ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ — ეს ჟუნინიომ თქვა.

სხვათა შორის, ფეხბურთელის მამა ოსვალდო, რომელიც შვილის საქმეებს კურირებს და ჟუნინიოს აგენტი, საგანგებოდ ჩაფრინდნენ ბრაზილიიდან ესპანეთში, რათა „ატლეტიკოს“ თავკაცებს გასაუბრებოდნენ. რა შედეგს მოიტანს ეს, არავინ უწყის. ისე, კლუბის რეპუტაციაშელახულმა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილიმ განაცხადა „ატლეტიკოს“ ჟუნინიო სჭირდება, პირადად მე მას არსად გავუშვებდიო.

ფეხბურთელი, როგორც ჩანს, მაინც სხვა გზით წავა. მისი დონის მოთამაშეს, ცხადია, სხვების დუბლიორად ყოფნა არ სურს.

და კვლავ ინგლისელები.

ბირმინგემელები ბრძოლას არ წყვეტენ. მათ ძალიან სურთ ჟუნინიოს გადაბირება. ჯონ გრეგორიმ ისიც თქვა, მოხარული ვიქნები, თუ მას „ნიუკასლთან“ მატჩამდე შევიძენო. სენტჯეიმსზპარკელებს „ასტონ ვილა“ შაბათს დაუპირისპირდება.

პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერს ამ რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდა — თუ „ასტონ ვილას“ ჟუნინიოს შეძენა სურს, „მიდლსბროს“ ბრაზილიელის დაბრუნება სწადია. დიახ, დიახ — ჟუნინიო 1995-97 წლებში სწორედ „მიდლსბროში“ თამაშობდა. კლუბში დიდი სახელიც დაიგდო. მადრიდელებმა იგი სწორედ „მიდლსბროდან“ გადაიბირეს 20 მილიონ დოლარად.

„მიდლსბროს“ თავკაცთაგან ჟუნინიოს თაობაზე ოფიციალურად არავის განუცხადებია, თუმცა კლუბის წარმომადგენელმა თქვა, რომ გუნდი ბრაზილიელის შეძენით ერთობ დაინტერესებულია.

ფეხბურთელს „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი 2002 წელს უმთავრდება. მანამდე იგი ესპანური კლუბის კუთვნილება იქნება, თუ, ცხადია, არ გაყიდეს. ეს კი სრულიად შესაძლებელია. მადრიდელთა მეშვიდე ნომერს სხვაგან წასვლა სურს და... არც სურს.

ერთი სიტყვით, ძალიან, ძალიან დიდი გაურკვევლობაა.

ირაკლი ილაშვილი

ვალიადოლიდს არ აპატიეს

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ (RFEF) განიხილა „ვალიადოლიდის“ საკითხი და კლუბის უფროსობას გადაწყვეტილების შეცვლაზე უარი განუცხადა.

შეგახსენებთ, რომ ამა წლის 10 იანვარს ესპანეთის ჩემპიონატის ტურში „ვალიადოლიდმა“ სევილიურ „ბეტისს“ უმასპინძლა და 2:1 მოუგო. თუმცა მატჩის შემდეგ სტუმრებმა ეს შედეგი გააპროტესტეს, მიზეზი — „ვალიადოლიდმა“ ერთბაშად ხუთი არაევროკავშირელი ათამაშა, ესპანური კანონებით კი, კონკრეტულ შეხვედრაში მხოლოდ ოთხ ასეთ მოთამაშეს შეუძლია მინდორზე გასვლა. მაშინ მასპინძელთა დამრიგებელმა სერჯო კრესიჩმა ტრავმირებული ხოსე ლუის სანტამარია კოლუმბიელი ნახევარმცველი ჰაროლდ ლოსანოთი შეცვალა. კრესიჩი რამდენიმე წუთში კი მიხვდა, რა ჩაიდინა და არგენტინელი დიეგო კლიმოვიჩის ნაცვლად თამაშში ესპანელი ალბერტო ლოპესი ჩართო, მაგრამ გვიან იყო — „ბეტისს“ არაფერი გამორჩენია.

შედეგად, როგორც უკვე ვთქვით, ესპანური ფეხბურთის მამებმა ამასწინათ მიღებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვეს, ანუ „ვალიადოლიდს“ 2:1 მოგებული მატჩი 0:3-ით შეუცვალეს და სამი ქულაც ჩამოაკლეს. დღესდღეობით, ამ სასჯელის გათვალისწინებით, „ვალიადოლიდი“ მეთექვსმეტე ადგილზე იმყოფება, ხოლო მოულოდნელად „გამდიდრებული“ „ბეტისი“ მეთორმეტეზე.

ბარსას ხუთი კვირა

დეკემბერში ყველამ ხელი ჩაიქნია. არავის სჯეროდა, რომ „ბარსელონა“ კრიზისს ასე უცბად დააღწევდა თავს. არ სჯეროდათ ურწმუნოებს, თავად კლუბში კი ყველას სწამდა, რომ აღრე თუ გვიან საშინელება დასრულდებოდა.

1998 წლის 13 დეკემბერი. „ბარსელონას“ მშობლიური „კამპ ნოუ“ გადაჭედილია. გულშემატკივართა საყვარელი გუნდი „ვილიარეალს“, ჩემპიონტის ერთ-ერთ სუსტ მონაწილეს მასპინძლობს. ქომაგებს და საერთოდ კატალონიელებს ძალიან უნდოდათ, კლუბს მეტოქე დაემარცხებინა და წარუმატებელი სერია შეეწყვიტა, მაგრამ პირიქით მოხდა — ლუის ვან გაალის გუნდმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა და 1:3 წააგო. უსუსურმა მასპინძლებმა ის ერთი გოლიც სულ ბოლოს გაიტანეს, როცა თავად სამი მიიღეს.

ბარსელონელები აბობოქრდნენ. გულშემატკივართა ფიალა გაივსო. კლუბის პრეზიდენტ ხოსე ლუის ნუნიესსაც დაეტყო მღელვარება — კლუბის ჰოლანდიელი თავკაცი ლუის ვან გაალი კი ხალხს ამ დროს თავშეკავებისკენ მოუწოდებდა. „ვილიარეალთან“ შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, მთავარია, არ ავღელდეთ და საკუთარი ძალა ვირწმუნოთო. ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა ჰოლანდიელი ყველას აუგად მოეხსენებინა. ხუმრობა საქმე ხომ არაა — „ბარსელონა“ ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა. კარგა ხანია, კატალონიური გუნდი ამგვარ მდგომარეობაში არ აღმოჩენილა.

მომდევნო ტურში „ბარსელონამ“ მოიგო. „ესტადიო ნუევო ხოსე სორილაზე“ კატალონიელებმა მასპინძელი „ვალიადოლიდი“ დაამარცხეს 1:0. გამარჯვება შთამბეჭდავი არ იყო, მაგრამ აღელვებულმა ქომაგებმა გული იმით დაიმშვიდეს, რომ იმავე ტურში „რეალი“ დამარცხდა. ეს კი მათთვის დიდი საქმე იყო.

„ვალიადოლიდთან“ უფერულ გამარჯვებას შინ, „კამპ ნოუზე“, 1999 წლის მესამე დღეს, ანუ 3 იანვარს გოლების ფოიერვერკი მოჰყვა — „ბარსელონამ“ პრიმერა დივიზიონში ოდენ მეექვსედ მოასპარეზე „ალავესს“ უმასპინძლა და 7:1 (!) მოუგო. გამარჯვება ძალიან სასიხარულო იყო. თან ისიც აღსანიშნია, რომ მასპინძლებმა სამი გოლი ბოლო ხუთ წუთში გაიტანეს. იხარა ბარსელონამ. თანდათანობით გაქრა ვან გაალის საწინააღმდეგო ტრანსპარანტები.

მომდევნო შეხვედრა ისევ „კამპ ნოუზე“ გახლდათ. ამჯერად „ბარსელონა“ გაცილებით ძლიერ მეტოქეს ხვდებოდა, ვიდრე „ალავესი“ იყო. გასული სეზონის ვერცხლის მედალოსანმა ბილბაოს „ატლეტიკმა“ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქვეყნის ჩემპიონებს და დამარცხდა. კვლავ გამარჯვება, ზედიზედ მესამედ. პროგრესიც აშკარაა — თუ დეკემბერი კლუბმა მეათე ადგილზე დაასრულა, ახალი წლის დასაწყისში უკვე მეხუთე იყო. ლიდერებსაც დიდად არ ჩამორჩებოდა.

მე-18 ტური. სევილიის „ესტადიო ბენიტო ვილამარინი“ ქვეყნის ჩემპიონს მასპინძლობს, თუმცა „ბარსელონას“ „სევილია“ კი არა, „ბეტისი“ უპირისპირდება. ქვეყნის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ „ბეტისი“ ცოტა არ იყოს, ძნელად დასამარცხებელი გუნდი გახლდათ, თუმცაღა სტუმრებმა მათ შანსი არ დაუტოვეს. „ბარსელონამ“ სამი მატჩიდან სამივე მოიგო. მწვრთნელი წელში გაიმართა. კრიტიკამაც იკლო. გუნდი წამოდგა, ქომაგებიც დაცხრნენ.

ლუის ვან გაალი

დაბოლოს, 1999 წლის 24 იანვარი. „ბარსელონამ“ ესპანეთის ჩემპიონატების ისტორიაში 47-ედ უმასპინძლა „სარაგოსას “ და 36-ჯერ სძლია. ზედიზედ მეხუთე მოგება. ზუსტად ხუთ კვირაში კატალონიური კლუბი, რომელიც მეათე ადგილზე მიჩანჩალებდა, პრიმერა დივიზიონის სათავეში მოექცა.

ლუის ვან გაალი, კლუბის სასტიკად გაკრიტიკებული თავკაცი: „მე მოთმინებისკენ მოგიწოდებდით. ვამბობდი მალე ყველაფერი გამოსწორდებაო-მეთქი, მაგრამ არ გჯეროდათ. დეკემბერში ბრწყინვალე „ბარსელონას“ დაგპირდით და შევასრულე კიდეც სიტყვა. მერწმუნეთ, ამიერიდან ჩვენ წინ ვერავინ დაგვიდგება“.

ხუთი ტური, ხუთი გამარჯვება, გოლების წვიმა, გულშემატკივართა სიხარული, უდიდესი პროგრესი, სვლა ჩემპიონობისკენ. ეს ყველაფერი ბოლო ერთი თვის მანძილზე თან სდევდა „ბარსელონას“. ეგებ კატალონიელთა ზეობა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, ვინ იცის? თან თუ მათ დღევანდელობას გავითვალისწინებთ, დიდი შანსია, ასეც მოხდეს.

„ბარსელონა“ უმძიმესი კრიზისის შემდგომ უკვე ჩემპიონია“ — წერდა მადრიდში გამომავალი გაზეთი „მარკა“. თავად კატალონიურმა „სპორტმა“ კი გაზეთს გარეკანზე დიდი წითელი ასოებით წააწერა — „ლიდერები“.

ახლა „ბარსელონა“ ლიდერია. ფეხბურთელებმაც ირწმუნეს თავიანთი ძალა, თავდაჯერებული კლუბის დამარცხება კი, თანაც „ბარსას“ დარი გუნდისაა, ძალიან ძნელი უნდა იყოს.

ამას წინათ „აიაქსიდან“ „კამპ ნოუზე“ გადაბარგებულმა ფრენკ დე ბურმა განაცხადა: „ახლა „ბარსელონაში“ თავს ისე ვგრძნობ, როგორც „აიაქსში“ 1995 წელს. მაშინ ჩვენ დიდი გუნდი ვიყავით. მწამს, აქაც ივივე მოხდება“.

ფრენკ დე ბური გამოცდილი ფეხბურთელია. იცის, რასაც ამბობს.

ირაკლი ილაშვილი

საბერძნეთი

მე-16 ტური: ეთნიკოსი (პირეოსი) — ნელეფსინიაკოსი 2:2; ქსანტი — აეკი 2:1; ოლიმპიაკოსი — პანიონისი 5:0; ეთნიკოსი (ასტირი) — პაოკი 1:0; პრუდეფტიკი — იონიკოსი 0:0; ირაკლისი — აპოლონი 2:0; პანილიაკოსი — არისი 3:1; ოფი — კავალა 4:0; ვერია — პანათინაიკოსი 0:1

ოლიმპიაკოსი	16	13	1	2	45:12	40
პანათინაიკოსი	16	11	1	4	32:19	34
აეკი	16	10	3	3	35:15	33
პაოკი	16	10	2	4	26:17	32
ქსანტი	16	9	4	3	19:13	31
არისი	16	8	3	5	22:22	27
ოფი	16	8	2	6	24:19	26
ირაკლისი	16	6	5	5	25:17	23
ეთნიკოსი (ა)	16	7	2	7	22:24	23
იონიკოსი	16	6	4	6	25:19	22
პანიონისი	16	6	2	8	29:25	20
პანილიაკოსი	16	6	2	8	22:25	20
კავალა	16	5	5	6	26:36	20
პრუდეფტიკი	16	3	5	8	15:22	14
პანელეფსინ.	16	2	8	6	13:21	14
აპოლონი	16	2	4	10	19:42	10
ვერია	16	1	4	11	6:24	7
ეთნიკოსი (პ)	16	0	5	11	6:39	5

პორტუგალია

XIX ტური

ბრაგა 0:0 ფაარენსე

პორტუ	19	13	4	2	46:17	43
ბენფიკა	19	13	3	3	41:13	42
ბოავიშტა	19	12	5	2	33:16	41
სპორტინგი	19	9	7	3	34:18	34
ამადორა	19	8	6	5	21:20	30
უნიაუ	19	8	4	7	19:16	28
სალგეირუში	19	6	8	5	28:28	26
სეტუბალი	19	7	4	8	17:24	25
გიმარაეში	19	6	5	8	26:21	23
ბრაგა	19	5	7	7	26:35	22
ფარენსე	19	6	4	9	16:25	22
ალვერკა	19	4	8	7	17:25	20
ბეირა მარი	19	4	8	7	18:27	20
რიუ ავე	19	5	5	9	16:29	20
მარიტიმუ	19	4	7	8	21:25	19
შავეში	19	5	4	10	22:35	19
კამპომაიორენსე	19	5	3	11	21:33	18
ფადემიკა	19	3	4	12	20:35	13

ბრაზილია

I ტური

რიო — სან პაულუს ტურნირი

I ჯგუფი

ფლუმინენსე 0:2 სანტოსი

პალმეირასი 1:5 ვასკუ და გამა

ვასკუ და გამა	1	1	0	0	5:1	3
სანტოსი	1	1	0	0	2:0	3
ფლუმინენსე	1	0	0	1	0:2	0
პალმეირასი	1	0	0	1	1:5	0

II ჯგუფი

სან პაულუ 1:0 ფლამენგო

ბოტაფოგო 6:1 კორინთიანსი

ბოტაფოგო	1	1	0	0	6:1	3
სან პაულუ	1	1	0	0	1:0	3
ფლამენგო	1	0	0	1	0:1	0
კორინთიანსი	1	0	0	1	1:6	0

ჯგუფში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში გადიან.

პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი

I ჯგუფი

იტუანო 0:1 ინტერ. ლიმეირა

პორტუგეზა 2:0 სან ხოსე

რიო ბრანკო 1:2 ბარბარენსე

პორტუგეზა	1	1	0	0	2:0	3
ლიმეირა	1	1	0	0	1:0	3
ბარბარენსე	1	1	0	0	2:1	3
იტუანო	1	0	0	1	0:1	0
რიო ბრანკო	1	0	0	1	1:2	0
სან ხოსე	1	0	0	1	0:2	0

II ჯგუფი

პორტუგეზა სანტისტა 1:3 არაკატუბა

მოგი მირიმი 1:1 მატომენსე

უნიაუ სან ჟოაო 2:1 გუარანი

არაკატუბა	1	1	0	0	3:1	3
უნიაუ	1	1	0	0	2:1	3
მატომენსე	1	0	1	0	1:1	1
მოგი მირიმი	1	0	1	0	1:1	1
გუარანი	1	0	0	1	1:2	0
სანტისტა	1	0	0	1	1:3	0

ნახევარფინალში თითო ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის



ტუტა (მესამე ფოტოზე შუაში) ურტყამს, გააქვს და რატომღაც მილოცვებს არ იღებს

კიდევ ერთი სკანდალი?

თანაკლუბელებმა ტუტას გოლის გატანა აუკრძალეს

დიდი შანსია, იტალიაში მორიგმა საფეხბურთო სკანდალმა იფეთქოს. კვირას სერია A-ს გათამაშების მორიგ ტურში „ვენეციამ“ „ბარის“ უმასპინძლა და 2:1 მოუგო. სწორედ ამ მატჩის შემდეგ სტუმართა კარში გამარჯვების გოლის გამტანმა ტუტამ „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტს ძალიან საინტერესო რამ განუცხადა. იმდენად საინტერესო, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში (FIGC) დიდი აჟიოტაჟია ატეხილი.

აი, რა თქვა ტუტამ.

— დიახ, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, ფილიპო მანიერო მომიახლოვდა და მითხრა, ფრე მშვენიერი შედეგია, ძალიან ნუ იაქტიურებო. ეს ზუსტად მაშინ მოხდა, ბურთის მისაღებად რომ დავიძარი და გავიტანე. მისი ნათქვამი არ მესიამოვნა, რადგან გოლის გატანა ძალიან მინდოდა — აღნიშნა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა და დამატა — სიმართლე გითხრათ, მანიეროს ნათქვამის შინაარსი ვერც მაშინ გავიგე და არც ახლა მესმის. ბრაზილიაში, განსაკუთრებით შინ თამაშისას, მე და ჩემი თანაგუნდელები გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოდით, ხოლო მათ („ვენეციას“ ფეხბურთელებმა) თქვეს, რომ 1:1 კარგი შედეგი იყო.

ეს ტუტას სიტყვებია.

ახლა რაც შეეხება მანიეროს, რომლის კარგმა თამაშმა და გოლებმა ბოლო ტურებში დიდად შეუწყო ხელი „ვენეციას“ სახიფათო ზონიდან გაღწევას. მან ტუტას ნათქვამთან დაკავშირებით განაცხადა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ტუტა თავის პირველ სეზონს ატარებს აპენინებზე, იტალიური კარგად არ იცის და ვერ გამიგოო.

— მას ვუთხარი, რომ ფრთხილად ყოფილიყო, რადგან ფრე და შესაბამისად ერთი ქულაც საკმაოდ დამაკმაყოფილებელ შედეგად მიმაჩნდა. ფიზიკურად მეტად გადაღლილები გახლდით და გოლი რომ გავეშვა, მერე დანაკლისის ანაზღაურება ძალიან გაგვიჭირდებოდა. იმის თქმა, არ გაიტანოო, აზრადაც არ მომსვლია. ეს აბსოლუტური სისულელეა.

„ვენეციას“ პრეზიდენტმა მაურიციო ზამპარინმ გუშინ გვიან ღამით დიბარა ტუტა თავისთან, რათა ამ საკითხზე გასაუბრებოდა. გუშინ დილით კი ჟურნალისტებს ეს უთხრა.

— სიმართლე გითხრათ, შორიდან ისე ჩანდა, რომ არც ერთი გუნდი არ ცდილობდა გამარჯვებისთვის ოფლის ღვრას, თითქოს ფრეზე არიან შეთანხმებულნიო. თუმცა ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ გადაჭრით ითქვას, მატჩი ჩაწყობილი იყოო.

ამ ამბავს „ბარის“ გენერალური დირექტორი კარლო რეგალიაც გამოეხმაურა.

— ძალიან კარგი, თუ ფეხბურთის ფედერაცია გამოძიების ჩატარებას აპირებს. ასე უფრო სწრაფად და სამართლიანად გადაწყდება ყველაფერი.

ფედერაცია მართლაც აპირებს ამ ისტორიის გამოკვლევას. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც იტალიის ტელევიზიამ ასეთი რამ აჩვენა — „ვენეცია“ — „ბარის“ არბიტრი საფინალო სასტვენს აძლევს, ფეხბურთელები გასახდელებისკენ მიეშურებიან და მათ სატელევიზიო კამერაც მისდევს. მოთამაშეები უკვე გვირაბის ბოლოში არიან. უცბად ტუტას „ბარის“ ერთ-ერთი ფეხბურთელი უახლოვდება და გამომწვევი ღიმილით ირონიულ აპლოდისმენტებს უძღვნის — ეს რა გოლი გაგვიტანე, რა მაგარი ბიჭი ხარო.

იტალიური ფეხბურთის მამებიც ამან დააფიქრა. შედეგი — საქმეს დაწვრილებით გამოიძიებენ.

სხვათა შორის, ეს პირველი ასეთი სკანდალი არ არის იტალიაში. შარშან 25 ოქტომბერს, „ემპოლიმ“ „სამპდორიასთან“ 0:3 რომ წააგო, მატჩის შემდეგ „ემპოლის“ ბანკის ერთ-ერთი წევრი მსაჯთა ბრიგადაზე ზეგავლენის მოხდენაში ამხილეს. მერე კი იმართლა თავი, მსგავსი არაფერი მომხდარაო, მაგრამ FIGC შეუვალი აღმოჩნდა — „ემპოლის“ 2 ქულა დააკლო.

რა იქნება ახლა, არავინ იცის.

დავით კოვზირიძე

ისევ ნადირზე, ამჯერად კარგი

კვირას საღამოს „ფიორენტინამ“ „ემპოლის“ მოუგო 3:0 და შეინარჩუნა პირველი ადგილი. იმ დღეს 17 თამაშში 17 გოლის გამტან ბატისტუტას არ შეუგდია, თამაში არ წაუვიდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ფლორენციელთა სული და გული მარტო ის აღარ არის. გუნდის გაძღოლა თურმე ედმუნდოსაც შეუძლია, ბრაზილიაში „ნადირად“ წოდებულს.

საოცრად ემოციური, სამშობლოში თამაშისას თითქმის ყოველ მეორე მატჩში მოჩხუბარი და შესაბამისად მოედნიდან გაგდებული შარშან „ფიორენტინაში“ გადასვლის შემდეგ დაწყნარდა. ალბათ, მკაცრი და ეშმაკი ტრაპატონის ფაქტორმა იმოქმედა მასზე. თამაშით კი ძველებურად თამაშობს — დიდებულად.

ასე იყო კვირასაც. ედმუნდომ კიდევ ერთხელ მოხიბლა ფეხბურთში გათვითცნობიერებული ხალხი თავის ტექნიკით, უზადო პასებით და შემართებით. პირველი ორი მას არასდროს აკლდა, შემართება კი იტალიაში ჩასვლის შემდეგ ჩამოუყალიბდა. ადრე ამ თვისებას იგი მუშტების ქნევით, ლანძღვა-გინებით გამოხატავდა.

ბოლო ტურში ედმუნდოს თამაშით მარტო გულშემატკივრები არ აღფრთოვანებულან, ბრაზილიელის თანაკლუბელებიც მოხიბლულნი ყოფილან. მოდით, მათ მოვუსმინოთ.

პირველ რიგში რუი კოშტას. უკანასკნელ ხანებში იტალიური პრესა აჭრელებულია ამ პორტუგალიელი ნახევარმცველის და ედმუნდოს გართულებული ურთიერთობების შესახებ ინფორმაციით. გაზეთებში ისიც კი დაიწერა, ისინი ერთმანეთს პასს არ აძლევენო. მიუხედავად ამისა, რუი კოშტა „ნადირს“ მაინც აქებს.

ედმუნდო

— ერთი რამ უნდა ვთქვა და ვფიქრობ, არავინ შემედავება — ედმუნდო ძალიან დიდი ფეხბურთელია, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო. მის ნიჭს დიდ პატივს ვცემ. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, არასდროს მიფიქრია, თანაგუნდელისთვის ბოიკოტი გამომეცხადებინა. მისთვის პასის არმიცემა ხომ საერთოდ სასაცილოა. მე პროფესიონალი ვარ, ამიტომ მოედანზე მხოლოდ ერთი საზრუნავი მაქვს — მეტოქეს ვაჯობო.

ბრაზილიელი ფორვარდის თამაშით იორგ ჰაინრიხიც გაოცებულა, „ემპოლის“ კარში პირველი გოლის ავტორი.

— ედმუნდოს კომპლიმენტის გარდა ვერაფერს ვეტყვი. დღეს იგი ორივე გუნდში საუკეთესო იყო, პერიოდულად კი საოცრებებსაც სჩადიოდა. მიხარია, რომ მასთან ერთად მიწევს მინდორზე გასვლა.

„ემპოლისთან“ ედმუნდო მართლაც შეუდარებელი გახლდათ. განსაკუთრებით ორ ეპიზოდში გაიბრწყინა და ორივე გოლით დასრულდა. ჯერ იყო და რუი კოშტას მიაწოდა შესანიშნავი გადაცემა და ანგარიშის გაზრდაში ხელი შეუწყო, მერე კი მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, მეტოქის კარისკენ დაიძრა, გზად ვინც კი შეხვდა, ყველა მოატყუა და მატჩს წერტილიც დაუსვა.

— ხანდახან საოცრებებს აკეთებს. აბა სხვა რა შეიძლება დაარქვა მის პასს, ანდა გოლს — თანაგუნდელისთვის თბილი სიტყვები არც ანსელმო რობიატიმ დაიშურა.

ახლა ერთ საინტერესო ინფორმაციასაც გაგაცნობთ. ყოველდღიურ გერმანულ გამოცემა „ბილდში“ გაიელვა ცნობამ, ედმუნდო საშშობლოში ბრუნდებაო. კერძოდ, გაზეთი ირწმუნებოდა, რომ „ფიორენტინამ“ მიუნხენის „ბაიერნს“ მარიო ბასლერის სანაცვლოდ 14 მილიონი დოლარი შესთავაზა. როგორც ფლორენციელთა ექსცენტრიკულმა მფლობელმა და პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გოსიმ „ბილდის“ ჟურნალისტს განუცხადა, ამ თანხას კლუბი ედმუნდოს გაყიდვის შემდეგ მიიღებს და ბასლერსაც გადაიბირებს.

კვირას საღამოს კი ჩეკი გორიმ თქვა.

— ედმუნდო არ არის და არც არასდროს იქნება ჩვენთვის პრობლემა. დარწმუნებული ვარ, იგი „ფიორენტინაში“ თავს მშვენივრად გრძნობს და ჩვენც კმაყოფილები ვართ მისი თამაშით.

ამავდროულად ბრაზილიელი ფეხბურთელის პირადმა აგენტმა განაცხადა, რომ ედმუნდო მალე მცირეხნიან შვებულებას აიღებს, რათა რიოს განთქმულ კარნავალს ეწვიოს. მისთვის ყველაზე დიდი გართობა სწორედ ეს ყოფილა — სამბას ჰანგებზე ცეკვა და თითქმის შიშველ ლამაზმანებთან კურკური.

ნოდარ ძასრაძე

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისის თასის IV წრე

27 იანვარი

შეფილდ იუნაიტედი — კარდიფი	1,3	4,0	7,5

ინგლისი. ლიგის თასის ნახევარფინალი.

პირველი მატჩები

27 იანვარი

ტოტენჰემი — უიმბლდონი	1,9	2,8	3,8

იტალიის თასის მეოთხედფინალი.

საპასუხო მატჩები

27 იანვარი

პარმა — უდინეზე	1,25	4,4	3,0
ინტერი — ლაციო	1,7	[illegible]	4,7

28 იანვარი

ფიორენტინა — ატალანტა	1,15	5,6	10,0

საფრანგეთის ჩემპიონატი

27 იანვარი

სოშო — მონაკო	2,7	2,7	2,4

ბელგიის ჩემპიონატი

27 იანვარი

სტანდარდი — გენკი	2,4	2,8	2,7

შოტლანდიის ჩემპიონატი

27 იანვარი

დანდი — რეინჯერსი	6,0	3,3	1,5

თურქეთის თასის მეოთხედფინალი.

პირველი მატჩები

27 იანვარი

გაზიანთეფი — ანკარა	1,6	3,0	5,6
ერზურუმი — საქარია	1,5	3,2	6,5
ისთანბული — გალათასარაი	4,7	3,0	1,7

ჰოკეი. NHL

27 იანვარი

ფლორიდა — მონრეალი	1,7	4,4	2,4
ედმონტონი — ჩიკაგო	1,4	4,4	3,4
დალასი — ლოს ანჯელესი	1,2	4,4	5,0
ანაჰაიმი — კოლორადო	2,0	4,4	2,0

28 იანვარი

ბოსტონი — ნიუ ჯერსი	2,0	4,4	2,0
ბუფალო — ნეშვილი	1,25	4,4	4,4
ფილადელფია — ფინიქსი	1,5	4,4	3,0
პიტსბურგი — ტორონტო	2,0	4,4	2,0
კაროლინა — რეინჯერსი	1,7	4,4	2,4
კალგარი — ჩიკაგო	1,9	4,4	2,1
კოლორადო — ანაჰაიმი	1,6	4,4	2,7
ვანკუვერი — სენტ ლუისი	2,0	4,4	2,0

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, ჩქარა...

ახალი ოლიმპიური დევიზი: უფრო დაფარულად, უფრო მეტი, უფრო ბევრს

ოლიმპიური თამაშების ჩატარების მცდელობა ძალიან იოლი საქმე ყოფილა, იმაზე იოლი, ვიდრე ლამაზ გოგონასთან ქუჩაში გაბაასება. მთავარია, იცოდე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკი) რომელი წევრების მოქრთამვაა შესაძლებელი. დიახ, დიახ, „ყველაზე წმინდა“, ოლიმპიური პრინციპების მსახურთა მოსყიდვაც შესაძლებელი ყოფილა, ოღონდ უნდა იცოდე ვინ, სად და როგორ? ამ საქმეში სრულყოფილებას იაპონელებმა მიაღწიეს. ისინი პატარ-პატარა, მაგრამ უძვირფასეს საჩუქრებს ხელგაშლილად ურიგებდნენ სოკის წევრებს, რომელთაც აკრძალული აქვთ 150 დოლარზე მეტი ღირებულების საჩუქრის აღება. მეფური მიღების მოწყობა და გზის ხარჯების ანაზღაურებაცაა შესაძლებელი, მით უმეტეს, რომ ეს ქრთამად ძნელად ჩაითვლება. ნაგანოს 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების უფლება სწორედ ამ გზით მოუპოვებია, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალი 2002 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის, ამერიკული სოლტ ლეიკ სიტის გამო ატყდა... ამის გამო „კავკასიური ცარცის წრის“ ერთი ფრაზა მახსენდება

ლოზანა. 24 იანვარი. სოკის ხელმძღვანელობა დიკ პაუნდის კომისიის მუშაობის შედეგებს ეცნობა

11 დეკემბერი, 1998 წელი. სოკის აღმასრულებელი კომისიის წევრის, შვეიცარიელი მარკ ჰოდლერის ბრალდებების საპასუხოდ სოკის პრეზიდენტმა ესპანელმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გამოძიების ჩატარება გადაწყვიტა. საგამომძიებლო კომისიის ხელმძღვანელად კანადელი დიკ პაუნდი დაინიშნა, მისი პირველი სამიზნეკი სოლტ ლეიკ სიტი გახდა. 2002 წლის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის დახმარებით სოკის ექვსი აფრიკელი წევრის ახლობელ-ნათესავებმა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტიპენდიები, ანაც უბრალოდ ფინანსური დახმარებები მიიღეს. ეს ცნობილი გახდა კამერუნელი ქირურგის, რენე ესომბას (სოკის წევრი იყო 1978 წლიდან, შარშან აგვისტოში გარდაიცვალა) სახელზე დაწერილი, მაგრამ გაუგზავნელი წერილიდან, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ საორგანიზაციო კომიტეტს აღარ შეეძლო მისი ქალიშვილის ვაშინგტონში სწავლისა და ცხოვრების ხარჯების დაფარვა.

20 დეკემბერი. ხუან ანტონიო სამარანჩმა ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქების არჩევნების სისტემაში ცვლილებების შეტანის სურვილი გამოთქვა.

29 დეკემბერი. დიკ პაუნდის გამოძიების დასაწყისი. კანადელის კომისიას სოლტ ლეიკ სიტის ადვოკატთა კაბინეტიც ეხმარება. 2002 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორების საქმიანობას კიდევ სამი სხვა კომისიაც იკვლევს — აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის, გამოძიების ფედერალური ბიუროსი და თავიანთივე ეთიკის კომიტეტის.

8 იანვარი, 1999 წელი. ამერიკული პრესა სოკის კონგოელ წევრ ჟან-კ[illegible]ოდ განგას ყოველგვარი მიკიბ-[illegible]იბვის გარეშე ადანაშაულებს კო[illegible]კიაში. მან უფასოდ იმკურნალა და უძრავი ქონებით ვაჭრობა განახორციელა სოლტ ლეიკ სიტის შემწეობით. ამ ქალაქის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ორმა მთავარმა ხელმძღვანელმა — პრეზიდენტმა ფრენკ ჯოკლიკმა და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა დეივ ჯონსონმა თავიანთი გადადგომა გამოაცხადეს.

15 იანვარი. იაპონურ პრესაში გამოჩნდა მასალები, რომ ნაგანოს მუნიციპალიტეტმა 1998 წლის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ზოგიერთი საბულალტრო საბუთი დაწვა. სოკის გენერალურმა დირექტორმა ფრანსუა კარარმა განაცხადა, რომ 17 და 18 მარტს საგანგებო სხდომა გაიმართება, რათა დამნაშავენი საკადრისად დაისაჯონ. ამასთანავე მან დაამატა, რომ სამარანჩმა სეოკის 13 წევრს, რომლებიც ქრთამის აღებაში არიან ეჭვმიტანილნი, წერილები დაუგზავნა.

17 იანვარი. გერმანული გაზეთი „SPORTINTERN“ აქვეყნებს 13 კორუმპირებულის სიას. მათ შორის შვიდი აფრიკელია — ბაშირ მოჰამედ ატარაბუსი (ლიბია), ჟან-კლოდ განგა (კონგო), ზეინ ალ აბდენ აბდელ გადირი (სუდანი), ლუი გირანდუ (კოტ დივუარი), ლამინ კეიტა (მალი), ჩარლზ მუკორა (კენია), დევიდ სიბანდზე (სვაზილენდი); სამი ევროპელი — ანტონ გეეზინკი (ჰოლანდია), პირიო ჰაეგმანი (ფინეთი), ვიტალი სმირნოვი (რუსეთი); ორი სამხრეთამერიკელი — ოგუსტინ აროიო (ეკვადორი), სერხიო სანტანდერი (ჩილე); ერთიც აზიელი — იონგ კიმი (კორეა) და აწ უკვე განსვენებული რენე ესომბა.

19 იანვარი. თანამდებობიდან პირველი გადამდგარი. ფინელმა ქალბატონმა პირიო ჰაეგმანმა სცენიდან წასვლასთან ერთად ყველა მის მიმართ წაყენებული ბრალდება უარყო.

20 იანვარი. ამერიკული გაზეთი „უოლ სტრიტი“ ამტკიცებს, რომ სოკის ერთ-ერთი საიდუმლო დოკუმენტის თანახმად, ოლიმპიური მოძრაობა უკვე რამდენიმე ათეული წელია, საკმაო ზეგავლენას განიცდის. ამერიკელი ჟურნალისტების აზრით, დიკ პაუნდის საბოლოო მოხსენებაში ნათქვამი იქნება იმ ორი არაოფიციალური აგენტის შესახებ, რომლებიც ხმებს ყიდდნენ. პირველი სოკის 25 წევრის ხმის საფასურად 2 მილიონ დოლარს ითხოვდა, მეორე კი — 9 ევროპელის თითოეულ ხმაში 50-დან 100 ათას დოლარამდე.

22 იანვარი. ფინელს ლიბიელმა მიბაძა — ბაშირ მოჰამედ ატარაბუსიც გადადგა.

ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯონ კოატმა აღიარა, რომ სიდნეის გამარჯვებამდე რამდენიმე დღით ადრე კენიელ ჩარლზ მუკორასა და უგანდელ ფრანსის ნიანგვესოს თავიანთი ოლიმპიური კომიტეტების დახმარებას შეჰპირდა. ავსტრალიური პრესის თანახმად, სიდნეიმ დაახლოებით 31 500 დოლარი გადაურიცხა ამ ორ აფრიკულ ქვეყანას. ჰოლანდიურმა პრესამ კი ფიფას ყოფილ პრეზიდენტსა და 1963 წლიდან სეოკის წევრ ჟოაო აველანჟს დასდო ბრალი 1992 წელს ამსტერდამის კანდიდატურის სასარგებლოდ ხმის მიცემისთვის ქრთამის აღებაში.

24 იანვარი. დიკ პაუნდის კომისიამ თავისი მუშაობის შედეგები გამოაქვეყნა და... აგუსტინ აროიო, ჟან-კლოდ განგა, აბდელ გარდირი, ლამინ კეიტა, ჩარლზ მუკორა და სერხიო სანტანდერი სოკის წევრობიდან გაათავისუფლეს. ანტონ გეეზინკს სასტიკი გაფრთხილება აკმარეს, დანარჩენების შესახებ კი ახალი გამოძიება დაინიშნა.

ოლიმპიადის მასპინძლები არ შეიცვლებიან

საგამოძიებო კომისიის 32-გვერდიან საბოლოო მოხსენებაში არც ერთი ისეთი ფაქტი არაა მოყვანილი, რომელიც იურიდიულად დაამტკიცებდა სოკის წიაღში არსებულ კორუფციას. „სოლტ ლეიკ სიტი და სიდნეი მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძლებად დარჩებიან“ — განაცხადა ხუან ანტონიო სამარანჩმა.

სოკის მიზანი იყო კარგი სახელი შეენარჩუნებინა. ამისთვის საჭირო იყო დამნაშავეების დასჯა, მაგრამ საქმე არავითარ შემთხვევაში სასამართლომდე არ უნდა მისულიყო. ხომ შეიძლება, იქ კიდევ მრავალი საეჭვო გარიგება გამჟღავნებულიყო. პლანეტის უმთავრესი სპორტული ორგანიზაციის მამებმა ეს მიზანი ბრწყინვალედ შეასრულეს. თუმცა შეიძლება, პარალელურმა გამოძიებებმა ახალი ფაქტები აღმოაჩინოს.

„ამ გამოცდის მერე ჩვენ უფრო ძლიერები ვიქნებით; ასე მოხდა ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტის, ანდაც ბენ ჯონსონთან დაკავშირებული დოპინგ-სკანდალის შემდეგ“ — ზოგი ჭირი მარგებელიას პრინციპით აზროვნებს სამარანჩი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, მარტის საგანგებო სესიაზე სოკის წევრებს მისდამი ნდობის დადასტურება კენჭისყრით სთხოვოს. თუმცა ბატონ პრეზიდენტს ნამდვილად ეშლება რაღაც — სად ვიღაც რიგითი ოლიმპიური ჩემპიონის მიერ დოპინგის მიღება და სად სოკის წევრების მიერ ქრთამის აღება!

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ხუან ანტონიო სამარანჩს ამ სკანდალის შედარებით „მიფუჩჩების“ და საკუთარი, ფაქტობრივად განუსაზღვრელი ძალაუფლების შენარჩუნების იმედი აქვს. ამას ისიც მოწმობს, რომ სოკიდან დათხოვნილთა შორის არ ფიგურირებენ რუსი ვიტალი სმირნოვი და სამხრეთკორეელი იონგ კიმი, რომლებიც, შესაბამისად, სამარანჩისადმი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნების მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. რაც შეეხება ჰოლანდიელ ოლიმპიურ ჩემპიონს ძიუდოში, ანტონ გეეზინკს, ის ხომ 60-იანი წლების სპორტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვარსკვლავი და ოლიმპიზმის სახეა...

ამ საქმეს კიდევ ის მოჰყვა, რომ არჩევნებში დამარცხებული კანდიდატებიდან (ამსტერდამი, კვებეკი, ბერლინი, მელბურნი, მანჩესტერი) ზოგიერთი კომპენსაციას ითხოვს. მაგალითად ინგლისური ქალაქი, რომელსაც 1996 წლის ოლიმპიადის მოწყობაში ატლანტამ აჯობა, ხოლო 2000 წლისაში — სიდნეიმ, 5 მილიონ გირვანქას (!) ითხოვს მიყენებული მორალური და ეკონომიკური ზარალის ასანაზღაურებლად.

საჩუქრები სამარანჩსაც შეხვდა

გაზეთი „სოლტ ლეიკ ტრიბუნი“ ამტკიცებს, რომ 2002 წლის ოლიმპიადის მასპინძლის არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე იუტას შტატის დედაქალაქის სახელით ამერიკული იარაღის მწარმოებელი ფირმა „ბრაუნინგის“ შვეიცარიულმა ფილიალმა სამარანჩს ნახევრად ავტომატური სანადირო თოფი და ერთიც კარაბინი მიართვა ძღვნად. ამ ორი ცეცხლსასროლი იარაღის ღირებულება დაახლოებით 1000 დოლარია. ბატონმა სამარანჩმა ლოზანის გაზეთის „24 საათი“ 6 იანვრის ნომერში ამასთან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა: „ამით სოკის წესი, რომელიც მის წევრებს 150 დოლარზე მეტი ფასის ნივთის საჩუქრად მიღებას უკრძალავს, არ დამირღვევია იმ უბრალო მიზეზი გამო, რომ ის მე არ მეხება. [illegible] არჩევნებში არ ვმონაწილეობ. საჩუქარზე უარის თქმა იმ ხალხისთვის, რომელთათვისაც კარგი იარაღის ჩუქება და ქონა ტრადიციად ითვლება, დიდი უზრდელობა იქნებოდა.“

ვერაფერს იტყვი, მეტად საინტერესო მოსაზრებაა, არა? გარდა იარაღისა, სოკის პრეზიდენტს ინდიელების ტრადიციული ფრინველთა ბუმბულისგან დამზადებული თავსაბურავი და ინდიელებისვე ხალიჩები აჩუქეს 1990 და 1991 წლებში, მათი ფასი კი ნამდვილად 150 დოლარზე მეტია, თუმცა ამას ხომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია!

გარდა პირადი საჩუქრებისა, აღსანიშნავია სხვადასხვა ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქების მიერ ხუან ანტონიო სამარანჩის იდეის, ოლიმპიური მუზეუმის შექმნის, ფინანსური უზრუნველყოფაც. ალბათ იცით, რომ ეს მუზეუმი შვეიცარიაში ლემანის ტბის ნაპირას მდებარეობს და 1988-1993 წლებისა აშენებული. ამ საქმეში თვით სამარანჩმაც ჩადო ფული, მისი სხვა დამფინანსებლებიდან კი აი, ვის გამოვყოფდით: იაპონია (23 მილიონი დოლარი), ესპანეთი (6 მილიონი), აშშ (6 მილიონი) და სამხრეთ კორეა (4,5 მილიონი), მუზეუმის აშენებას კი მთლიანად 70 მილიონი დოლარი დასჭირდა. ეს ქვეყნები იმიტომ გამოვყავით, რომ თითოეულმა მათგანმა სწორედ 1988 წლიდან მოყოლებული ჩაატარა ოლიმპიადები, ანაც მათი მოწყობის უფლება მიიღო — სეული (1988 წ.), ბარსელონა (1992 წ.), ატლანტა (1996 წ.) ნაგანო (1998 წ.), სოლტ ლეიკ სიტი (2002 წ.). რამდენადაა დაკავშირებული ეს ამბები ერთმანეთთან, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეჭვების საფუძველი ნამდვილად არსებობს.

ხუან ანტონიო სამარანჩ! წადით!

იმისდა მიუხედავად, თუ რას ფიქრობს, ანდა რა უნდა იფიქროს სამარანჩმა, სოკის ოჯახში არსებული სკანდალი არ ჩამცხრალა. სოლტ ლეიკ სიტისგან ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილი რამდენიმე წევრის დასჯა ვერ შეაჩერებს უკვე მოწყვეტილ ზვავს.

როგორც აღვნიშნეთ, მორმონების უმთავრესი ციტადელის გარდა სხვა ქალაქებიც ეჭვმიტანილნი არიან. ეს ამბავი ველოსპორტში არსებული დოპინგ-სკანდალის მსგავსია — ყველამ იცოდა, რომ მრბოლები აკრძალულ პრეპარატებს იღებდნენ, მაგრამ ყველა დუმდა. სოკშიც ყველამ იცის, რომ ოლიმპიური თამაშები იყიდება, მაგრამ...

იუტას დედაქალაქის შემდეგ, ალბათ, სხვების ჯერიც დადგება და ნაგანოს, ატლანტას, ბარსელონას, სიდნეის... უფრო მკაცრად მიხედავენ.

რაც შეეხებათ იმ ქალაქებს, რომლებმაც ალბათ, გადაიხადეს, მაგრამ არასაკმარისად, მათი საქმე როგორ იქნება, ჯერჯერობით გაურკვეველია.

სამარანჩმა პრობლემა ვერ გადაჭრა. მსოფლიოს წამყვანი ჟურნალ-გაზეთები უკვე მის წასვლას მოითხოვენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დოპინგთან დაკავშირებულ საკითხებს ნათელი ვერ მოჰფინა, მერე იმიტომ, რომ ახლა ის გახდება უამრავი თავდასხმის მიზანი და ეს კი სოკის მუშაობას ვერაფერ სიკეთეს მოუტანს, დაბოლოს იმიტომ, რომ საჭიროა, ოლიმპიზმის წმინდა იდეალებს ჩირქი ჩამოეწმინდოთ.

ესპანეთში ფრანკოს ბატონობის დროს სამარანჩი ბარსელონას მერი იყო. კაუდილიოს გარდაცვალების შემდეგ კატალონიის დედაქალაქის მკვიდრნი მუნიციპალიტეტის შენობასთან შეიკრიბნენ და ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ: „სამარანჩ, წაეთრიე!“ დღევანდელი საზოგადოებრიობაც იგივეს მოითხოვს მისგან, ოღონდ უფრო ზრდილობიანად: „ბატონო სამარანჩ, წადით.“

ასეთი ანაც მსგავსი სათაური დასავლეთ ევროპის ბევრი გაზეთის პირველ გვერდს „ამშვენებდა“ ორშაბათსა და სამშაბათს.

21-ე საუკუნეში კი მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობა ახალი, სუფთა ადამიანების მეთაურობით უნდა შევიდეს.

გაიოზ თალაძგაძე

ვითა — ასკ. ვითელი მამუკა აბრამიძე (ბურთით) გუნდის ლიდერად მოგვევლინა

ᲐᲠᲛᲘᲐᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲐ

26 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
10 ტური

ᲕᲘᲗᲐ 94:79 ᲐᲡᲙ

I ტაიმი 39:27

ᲕᲘᲗᲐ: აბრამიძე (13), დავითულიანი (23), ჩუბინიძე (10), ორმოცაძე (15), კორძაძე (4); ვაშაკიძე (11), ჭირაქაძე (4), ახალკაცი (5), კოკოლიშვილი (9)

ᲐᲡᲙ: ჩხაიძე (6), აკოლაშვილი (19), პაპასკირი (14), უჩუმბეგაშვილი (1), ნუცუბიძე (17); ფსუტური (6), გრძელიშვილი (2), გელაშვილი (4), ნათაძე (10), კიკაბიძე, ჭყონია

ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ: ნოდარ დარახველიძე

კვლავინდებურად ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში, ოღონდ ახლა უკვე საგრძნობლად გამთბარში, მეტოქე გუნდები მოთელვას შეუდგნენ. ჰო, თანაც მუსიკის თანხლებით. აქეთ მკვდრეთით აღმდგარი არმიული კლუბი იდგა, იქით კიდევ ხელმეორედ მოჩიტული „ვითა“. აბა, როგორ იქნებოდა მატჩამდე ერთმანეთს არ გაშაირებოდნენ. ჰოდა, პატარა ლირიკული დიალოგიც შედგა:

— *ექვსგზის ჩემპიონს ვახლავართ...*

— ოჰო, ამას ვის ვხედავ. ქართულ არმიას სალამი.

— *რა იყო, რა გაგიკვირდა. არ მელოდი თუ?*

— არა... რატომ... ისე მართლა, აქ საიდან მოხვდი?

— *დიგ, როგორ დიდგულობს. შენს გულში ჩაიხედე, ვაუბატონო!*

— საწყენად ნაღდად არ მითქვამს. უბრალოდ, არ მეგონა თუ...

— *ჰოოო, ეგ სხვა ამბავია. დიდი ისტორიაა.*

— კრისტალი არც მე ვარ, ჩალიჩიც სხვაზე მეტად მეხერხება. აი, შენი კი ვერაფერი გავიგე.

— *რა ვერ გაგიგია, დალოცვილო. რაც მე საშემოდგომო გაწვევაზე ტალიკ-ტალიკი ბიჭები ვხვეტე... ბარე ორი გუნდის გამოყვანაც მინდოდა, მაგრამ... ვინ გაცალა? — ერთიო და ნაღდიო.*

— მაშ, შევებათ არა?...

ეს, რა თქმა უნდა ხუმრობით. თუმცა, რატომ? სიმართლის მარცვალიც კარგად მოზრდილა: ფედერაციის ჰუმანურმა აქციამ ამ გუნდების შეტოქებასაც მოგვასწრო წლეულს.

და აი, შეიბნენ „ვითა“ და ასკ. რამდენად მოულოდნელიც არ უნდა იყოს, მეათე ტურში „ვითა“ მუხუთად თამაშობდა, მეტოქე კი — პირველად. ოქროს მედალოსნები შეთხელებულები იყვნენ: გაგნიძე სტუ-ში წავიდა, მუშკუდიანი — ბულგარეთში. და არც ტურაშვილი ჩანდა. ასკ კი თითქმის ახალი გუნდია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ოდინდელ არმიელს.

„ვითამ“ თავიდანვე ზონური დაცვა ირჩია და ბოლომდე ასე გააგრძელა. ორჯერ დავითულიანმა და ერთხელ ორმოცაძემ თავისიანები დააწინაურეს — 6:0.

საწინააღმდეგო მხრიდან პაპასკირი და ჩხაიძე პასუხობდნენ, თუმცა დაცვაში ასკ ვერ უძალიანდებოდა მეტოქეს და ვითელებიც სწრაფი გარღვევებით ნელ-ნელა ზრდიდნენ უპირატესობას. მათი მხრიდან აბრამიძე აქტიურობდა ძალიან. გაგნიძის წასვლის შემდეგ მამუკა [illegible] გამთამაშებლად მოგვევლინა [illegible] — ბურთის აზრიანად გათამაშებას, პარტნიორების პასებით მომარაგებას — თავი ბრწყინვალედ გაართვა.

მეხუთე წუთისთვის „ვითა“ ათ ქულას იგებს — 17:7. შემდეგ ასკ-ც გამოცოცხლდა. ერთი ხანობა თითქოს წამოეწივნენ კიდეც, მაგრამ შეტევაში რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, რასაც გამოცდილი „ვითა“ არავის აპატიებს. დავითულიანის, ჩუბინიძისა და ორმოცაძის კარგი თამაშით ჩემპიონები ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებენ ათქულიან უპირატესობას. პირველი ნახევარიც ასეთი სხვაობით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ კორძაძემ ბოლო წამზე რთული პოზიციიდან ჩააგდო.

შეხვედრა იგივე სცენარით განახლდა. „ვითა“ დაცვაში კვლავაც ზონურად მოქმედებდა და წარმატებითაც. შეტევაშიც გააზრებულად ირჯებოდნენ: თუ სწრაფი პასი არ გამოვიდოდა, თამაშს დააწყნარებდნენ, დაალაგებდნენ და ქულების დაგროვებას დამუშავებული კომბინაციებით ცდილობდნენ.

ასკ-სთვის ბურთის ჩაგდება ძალიან საძნელო გახდა. შორი სროლებით რომ ვერას გახდნენ, უფრო სიღრმისკენ შეიწიეს. იქ, ცენტრზე, ნუცუბიძე იღვწოდა და არც თუ იშვიათად შეტევათა დაგვირგვინებასაც ახერხებდა, მაგრამ ტანმაღალ ვითელთა გარემოცვაში მაინც ეულად გამოიყურებოდა.

შეხვედრის დამთავრებამდე რვა წუთიღა რჩებოდა. „ვითა“ კვლავაც ათ ქულას იგებდა — 64:54 და თითქოს ასკ-საც გასცლოდა არაქათი, თუმცა არმიელებმა მაინც მოინდომეს. ვანსაკუთრებით მაშინ, როცა კორძაძემ და ჩუბინიძემ ოთხ-ოთხი ჯარიმა მიიღეს, მაგრამ ტომარაძემ დროულ შეცვლებს მიმართა, რითაც მოწინააღმდეგეს საბოლოოდ დაუკარგა წარმატების იმედი.

ანგარიში ბოლომდე რვა-ათ ქულამდე მერყეობდა, მაგრამ მატჩის ბოლოს ახალგაზრდა ვითელებმა ვაშაკიძემ და ჭირაქაძემ გადადეს თავი და...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲖᲝᲢᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

26 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
10 ტური

ᲐᲖᲝᲢᲘ 122:96 ᲙᲝᲚᲮᲐ

I ტაიმი 50:42

ᲐᲖᲝᲢᲘ: ჩაჩუა (2), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (14), ბერუაშვილი (14), ჯაფარიძე (35); ბაბიაშვილი (20), დანელიანი (2), კოჭლამაზაშვილი (8), ბარამიძე (4), ჯიმშელეიშვილი (18)

ᲙᲝᲚᲮᲐ: კვაჭაძე (3), ბერიშვილი (5), ვ. ქვილითაია (3), ბერია (21), უგრეხელიძე (18); კეიდია (17), ბ. ქვილითაია (10), თოდუა (1), ძიძიგური (8), ფენდერავა (3), ვაშაკიძე (7)

ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ: როლან ხომერიკი, ზაზა მაჩალაძე

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ: აკაკი მეგრელაძე

ამ შეხვედრაში, თუ პირველი ტაიმის ათ წუთს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, ბრძოლა არ გამართულა. რუსთაველები მოედანზე თავდაჯერებულნი და საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი გავიდნენ და ამის საფუძველი, როგორც მატჩის შედეგმაც აჩვენა, ნამდვილად ჰქონდათ. ახალგაზრდა კოლხებმა მხოლოდ მცირე ხანს თუ გაუწიეს წინააღმდეგობა ჩემპიონატის ლიდერს. დასანანია, რომ ახალგაზრდულ გუნდს ბრძოლისუნარიანობა და გამარჯვებისკენ სწრაფვა ვერ შევნიშნეთ. რუსთაველებმა ყველა სათამაშო კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე და ბოლო წუთები ერთვნული ჩემპიონატის მატჩს კი არა, გასართობად თავშეყრილი ორი სრულიად განსხვავებული დონის გუნდის ბურთაობას წააგავდა, რომლებიც ხშირად შესცქეროდნენ ტაბლოს, ანგარიშს კი არა, იმის შესატყობად, მალე დამთავრდებოდა თუ არა მატჩი. მაყურებელს კი საინტერესო პაექრობის მოლოდინი გაუცრუვდა, თუმც შეხვედრის დებიუტი შედარებით საინტერესო გამოდგა.

პირველი შეტევა რუსთაველებმა წამოიწყეს და მიხეილ ბერუაშვილმა გახსნა ანგარიში, შემდეგ დაცვაში გოგობერიშვილი დაჯარიმდა. „კოლხამ“ უხეიროდ დაასრულა შეტევა და ჯაფარიძემ კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი. „კოლხა“ გონს მოეგო — უგრეხელიძის კარგმა თამაშმა მის გუნდს იმედი ჩაუსახა, მაგრამ რუსთაველები გუშინ აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ. დაცვაში კარგად ირჯებოდა ახალგაზრდა ლევან ჩაჩუა. მან სასტარტო ხუთეულში ღირსეულად დაიკავა არჩილ ჟღენტის ადგილი — ეს უკანასკნელი ოჯახური პირობების გამო მატჩში არ მონაწილეობდა. „აზოტის“ შემადგენლობაში ასევე არ ჩანდა ივანე გოგოლაძე, რომელიც ავადაა.

რუსთაველების უპირატესობა ნელ-ნელა იზრდებოდა. ისინი განსაკუთრებით სიმაღლეში ჩაგრავდნენ მეტოქეს. თავდამსხმელები ფარქვეშ ლაღად თამაშობდნენ და დავით უგრეხელიძესაც, ბუნებრივია, უჭირდა ტანმაღალ მოწინააღმდეგეებთან მარტო ბრძოლა. კოლხებმა აბულაძის სახით დიდი ძალა დაკარგეს და უკანა ხაზზე პრობლემაც შეექმნათ. მათ მე-7 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს 10:10, შემდეგ კი მატჩის სადავეებს მთლიანად რუსთაველები დაეუფლნენ. გოგობერიშვილი-ბაბიაშვილი-გაბისონიას სწრაფ შეტევებს „კოლხამ“ ვერაფერი დაუპირისპირა და მე-14 წუთზე „აზოტის“ უპირატესობამ 9 ქულას მიაღწია. მერე რამაზ გოგობერიშვილს ორქულიანს ბაბიაშვილმაც დუმატა და „კოლხაც“ თითქოს გატყდა.

ზვიად ბაბიაშვილს თავიდან გაუჭირდა ჩაგდება, მაგრამ თამაშში მალე ჩაერთო და შედეგიანადაც. „კოლხამ“ კიდევ გაიბრძოლა — მე-16 წუთზე ბერაიამ 5 ქულამდე შეამცირა ანგარიში. ეს იყო და ეს, ტაიმის მიწურულს მოედანზე მარტო „აზოტი“ იყო. გუნდმა პირველი ნახევარი 8-ქულიანი უპირატესობით მოიგო.

მეორე ტაიმი კი... მართლაც როგორ გინდა გადმოსცე. ანგარიში უფრო და უფრო იზრდებოდა „აზოტის“ სასარგებლოდ. რუსთაველებმა ჟონგლიორობაც კი დაიწყეს, გოგობერიშვილის ეფექტური პასები, შორეული სროლები ხშირად აღწევდა მიზანს. ჯაფარიძემ კი შოუ მოაწყო, ჩატენვებში მას ხელს არავინ უშლიდა. ოთარ ხმელიძემ მოედანზე ყველა მოთამაშე გამოიყვანა. ახალგაზრდა კოლხები ვერაფერს ახერხებდნენ. აღარსად ჩანდა მათი ოპტიმიზმი და ბრძოლისუნარიანობა. ეს სოხუმელთათვის მართლაც ცუდი დღე იყო. მეორე ნახევრის შუაგულში რუსთაველთა უპირატესობამ 30 ქულას გადააჭარბა. გუნდები მატჩის დამთავრებასაღა ელოდნენ. დაცვაში აღარავინ აქტიურობდა, „აზოტმა“ სამნიშნა ანგარიშს უწია, „კოლხას“ კი 4 ქულაღა დააკლდა 100-მდე. დასანანია, რომ ჩვენს ჩემპიონატში ასეთი განსხვავებული დონის გუნდები მონაწილეობენ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲜᲐᲛᲕᲘᲚᲘ

26 იანვარი
თბილისი
ვერის ბაღი
10 ტური

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ 72:103 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

I ტაიმი 34:47

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ: კაზანჯიანი (6), მაჭავარიანი (10), შ. გაგნიძე (3), მოისწრაფიშვილი (8), ღვინეფაძე (2); არსიაშვილი (1), მეხი (9), ხობელია (17), ჩარგეიშვილი (7), ტაბატაძე (2), ოქრიაშვილი (7)

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: ხოშტარია (29), ნიკოლაძე (16), წიკლაური (12), ყველაშვილი, აბულაძე (16); ხეცურიანი (16), ახვლედიანი (2), სანიკიძე (2), ნინიაშვილი (10)

ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ: ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘ: როლანდ ხომერიკი

ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲛ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲘᲤᲠᲘᲜᲐ

თავიდანვე მკითხველის ყურადღებას ფედერაციის საშობაო-საახალწლო საჩუქარს მივაპყრობ, რადგან სათქმელად ნაღდად ღირს. აბა, ვისღა ახსოვს ჩვენში ერთ დროს გაღულუნებულ-გაჩახჩახებული დარბაზები (ეგ კი არა, ბევრს კიდეც გაუკვირდება, ნუთუ ასეთი რამ იყოო...) და აჰა, შეხვედრა წარსულთან — სხვა რა უნდა დავარქვათ შუა იანვარში განათებულ-გამთბარი ვერის დარბაზის ხილვას.

რაკი სიახლით დავიწყეთ, ორიოდ სიტყვით მეტოქე კლუბებში მომხდარ ცვლილებებზეც მოგახსენებთ. ჯერ „დინამოზე“ ვთქვათ. კალათბურთის ქომაგებმა იციან, რომ ახლახან „შეწყვეტული“ ხოშტარია კვლავაც ამ გუნდში დაბრუნდა, ექსკოლხელი ცენტრი აბულაძეც აქ გადმობარგებულა და, რაც მთავარია, რუსულ ლიგაში ბედის მაძიებელი კილაძეც შეჰმატებიათ. ერთი ესაა, მეჭურჭლიშვილს მოისაკლისებენ (იგი ატლანტის ერთ-ერთ კოლეჯში წასულა და, ალბათ, კარიერასაც იქ გააგრძელებს). მიუხედავად ამისა, ზემოჩამოთვლილთა შემატება ექსფლანგმანის ამბიციურობას მალე დაეტყობა (ასეთ სისხლის გადასხმაზე მაღალი საფეხურების მაძიებელი არც ერთი კლუბი არ იტყოდა უარს).

„შევარდენში“ კი სიახლე არაფერია, თუ ნუცუბიძე-აკოლაშვილის გამოკლებას არ ჩავთვლით. არადა, ეს ბიჭები მართლაც რომ ძვირად ფასობდნენ, მათ ხომ შევარდენელთა გამარჯვებებში ლომის წილი უდევთ. მათი წასვლით გუნდი ერთობ დაზარალდა, რამაც ამ მატჩშივე იჩინა თავი. ასე რომ არ ყოფილიყო, სიურპრიზების მოყვარული გუნდი წინა წრეში სამრცხვინო წაგებას იოლად არ შეარჩენდა „დინამოს“, მაგრამ... „შევარდენი“ კვლავაც დამარცხდა და კვლავაც ანგარიშში დიდი სხვაობით... თუმცა ჯობს მატჩის მსვლელობას თანმიმდევრობით მივყვეთ.

პირველი ნახევრის დასაწყისშივე უპირატესობა „დინამომ“ იგდო ხელთ. შევარდენელთა ნაქებ თავგამოდებას მეტოქე არად აგდებდა. „მოსეს ბიჭები“, ახლებიც და ძველებიც, ხმაშეწყობილად ლაშქრავდნენ მეტოქის ფარს. „შევარდენი“ კი მეტად მოიკოჭლებდა, პირველი ქულის მოპოვებაც მხოლოდ პირველი ოთხი წუთის შემდეგ შეძლო (საქმეს ისეთი პირი უჩანდა, შევარდენელები კვლავაც ანტირეკორდს უმიზნებდნენ).

თუმცა ანტირეკორდის გამეორება აღარ დასცალდათ. მალე ჩვეული ბრძოლისუნარიანობით ქულათა შემატებაც იწყეს. თავის წესს არც „დინამო“ ღალატობდა, მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა გამარჯვებისკენ. მათი მხრივ გარჯას ვერავის დავუკარგავთ, მაგრამ ხოშტარიამ მაინც განსაკუთრებით მოინდომა. მართალია, ძველი ფორმისგან შორსაა, მაგამ მარბიელთა წინამძღოლობა ძველებურად ითავა და კარგადაც გამოსდიოდა. მას არც სხვა „ახლები“ — წიკლაური და აბულაძე ჩამორჩნენ, საჰაერო დუელშიც ხშირად იმარჯვებდნენ და თავდასხმაშიც ხეირობდნენ.

შევარდენელებს ამჯერად სამიანები აღარ უჭრიდათ. ამის დასტური ისიცაა, რომ პირველად შორიდან მხოლოდ ტაიმის ბოლოს ჩაგდო კაზანჯიანმა. მეტოქესთან სიმაღლეშიც აშკარად მიიკოჭლებდნენ და უმრავლეს შემთხვევაში ბურთსაც კარგავდნენ. მიუხედავად ამისა, ბრძოლის ჟინი შეინარჩუნეს და ბოლომდე თავგამოდებით იბრძოდნენ. მაგრამ მარტო ამით რომ ფონს ვერ გახვალ, ესეც ცხადია და ტაიმიც 13 ქულის სხვაობით დამთავრდა.

მეორე ტაიმიც იგივე სცენარით წარიმართა. „შევარდენმა“ პირადი ანგარიში კვლავაც 4 წუთის შემდგომ გახსნა. მანამდე კი კაზანჯანიამ ხუთი პერსონალური მიიღო და თანაგუნდელებს გამოაკლდა. მალე მას გაგნიძეც შეუერთდა. ყველაფერი ეს კი დინამოელთა გამარჯვებას უეჭველს ხდიდა და ასეც მოხდა. მატჩიც უინტერესო გახდა და მაყურებელიც იმვიათად რეაგირებდა მეტოქე გუნდების პერიოდულ ჩხვლეტებზე. ორივე მხარე შეხვედრის დასასრულს ბედშეგუებული ელოდა.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲢᲣᲚᲣᲨᲘ

სტეფანიამ ნომერი მიიღო და ჩხუბიც მოასწრო



ვლადიმერ სტეფანიამ (მარცხნივ) და დონ მაკლინმა ერთმანეთს ჯერ მუშტები დააყარეს, მერე კი შერიგდნენ

25 იანვარს „სიეტლ სუპერსონიქსის“ ვარჯიში დაძაბული გამოდგა. ორმხრივი თამაშისას ვლადიმერ სტეფანიას და დონ მაკლინს ჩხუბი მოუვიდათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ კალათბურთელებმა ერთმანეთს მუშტები დასცხეს. თანაგუნდელებმა მოჩხუბარნი გააშველეს, დააშოშმინეს და „სუპერსონიქსის“ ორმა ახალწვეულმა ვარჯიშ-თამაში მშვიდობიანად გააგრძელა.

„მათ ერთმანეთი გადაკოცნეს და შერიგდნენ. ჯერ არ მახსოვს შეკრება, სადაც მსგავსი რამ არ მომხდარიყოს“ — თქვა „სიეტლის“ მწვრთნელმა ჰოლ კესტფოლმა. ეს ამბავი გაზეთ „სიეტლ თაიმზში“ წერია.

25 იანვარსვე ვლადიმერ სტეფანიამ ნომრიანი მაისური მიიღო. „სიეტლში“ იგი „5“ ნომერი იქნება. მის მიერ შერისხული, დონ მაკლინი ვოკასავით ორიოდ დღის მისულია გუნდში. სიეტლში იგი „ნიუ ჯერსი ნეთსიდან“ გადავიდა. 208-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ნბა-ში მეექვსე სეზონს დაიწყებს. მას „ვაშინგტონში“, „დენვერსა“ და „ფილადელფიაშიც“ უთამაშია. 1994 წელს მაკლინმა ნბა-ს ჭიდი ჯილდოდან ერთ-ერთი — სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზი დაისაკუთრა.

გულიოტა ფინიქსელია



„ფინიქსის“ პრეზიდენტმა ჯერი კოლანჯელომ (მარცხნივ) ტომ გულიოტას კლუბის მაისური მიართვა

კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში კვლავ გახურებულია კლუბებს შორის ვაჭრობა და მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადაბარება. ამ უქმეებზეც ბევრი რამ შეიცვალა. ამ სიახლეთაგან ტომ გულიოტას ჩრდილოური „მინესოტა ტიმბერვულვზიდან“ სამხრეთული „ფინიქს სანზში“ გადასვლაა აღსანიშნავი. ფინიქსი შიშობდა, ვაითუ, ანტონიო მაკდაიესის ღირსეული შემცვლელი ვერ ვიპოვო დროულადო, მაგრამ „ფინიქს სანზმა“ ერთ-ერთი ლიდერის, თავდამსხმელი მაკდაიესის დენვერში გაშვებიდან 48 საათის შემდეგ მასზე არათუ ნაკლებ, არამედ გაცილებით ძლიერ გულიოტას გაუფორმა კონტრაქტი, რომლის მიხედვით ყოფილი მინესოტელი ექვსი წლის განმავლობაში 58,5 მილიონ დოლარს მიიღებს. თუმცაღა ეს თანხა ყოფილი გუნდის შეთავაზებულზე ნაკლებია. „მინესოტას“, რომელსაც მხოლოდ სამი ნამდვილი მოთამაშე — ტომ გულიოტა, სტივენ მარბერი და კევინ გარნეტი ჰყავდა, არ სურდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გაეშვა და შვიდწლიან და 90 მილიონიან კონტრაქტს სთავაზობდა, მაგრამ ძველ კლუბს გულიოტამ ისევ ახალი არჩია და იგი უკვე ფინიქსელია.

ტომ გულიოტა იმ იშვიათ თეთრკანიანთაგანია, რომლებიც ზანგებს ტოლს არ უდებენ და თავიანთ ამპლუაში ერთ-ერთ საუკეთესოდაც ითვლებიან. 29 წლის გულიოტამ ნბა-ში ექვსი სეზონი გაატარა, ითამაშა 1997 წლის „ოლ სტარში“ და ქულის უმძიმესი ტრავმა რომ არა, ალბათ, იქ 1998 წელსაც მოხვდებოდა. შარშან გულიოტამ რეგულარული სეზონის მხოლოდ ნახევარ, 41 შეხვედრაში ითამაშა და მატჩში საშუალოდ 20,1 ქულას, 8,7 მოხსნას და 4,0 პასს აკეთებდა. ტომი ერთგვარი უნივერსალური კალათბურთელია. მას თანაბარი ძალით ძალუძს ითამაშოს ფრთისა და თავდამსხმელის პოზიციაზე და გაჭირვების ჟამს ცენტრობაც გასწიოს. „ფინიქს სანზში“ მას უფრო მაკდაიესისაგან გათავისუფლებულ თავდამსხმელის პოზიციაზე მოუწევს გარჯა, მით უმეტეს, რომ ფრთის ადგილს ისევ ძველი ფინიქსელი კლიფ რობინსონი დაიკავებს. გარდა ამისა, ფინიქსმა თავისთან დაიტოვა ძველი მოთამაშეებიც, გუნდის უპირველესი ბომბარდირი გასულ სეზონში — რექს ჩეპმენი (საშუალოდ 15,9 ქულა მატჩში) და ჯორჯ მაკლაუდი. „ფინიქსი“ აგრეთვე „ჩიკაგო ბულზის“ ყოფილ ცენტრს, ძონძროხა ლუკ ლონგლის ეკურკურება და მასთან მოლაპარაკებები უკვე დასასრულს მიუახლოვდა. კვლავ გუნდში რჩება ფინიქსის ლიდერი, გამთამაშებელი ჯეისონ კიდი. ასე რომ, „ფინიქს სანზი“ დენი ეინჯის ხელმძღვანელობით კვლავ შეეცდება გარკვეული წარმატების მიღწევას პლეიოფში, რაც ბარკლის გუნდიდან წასვლის შემდეგ არიზონელებს ოცნებად რჩებათ. რაც შეეხება ანტონიო მაკდაიესს, იგი ძველ კლუბს — „დენვერ ნაგითსს“ შეეხიზნა და იქ ექსლეიკერსელ ვან ექსელთან ერთად შეეცდება გასული სეზონის ყველაზე უსუსური გუნდის შოკიდან გამოყვანას.

ირაკლი ფირაშვილი

7 მარტს ავსტრალიაში დაიწყება ფორმულა-1-ის საიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი. გუნდები კარგა ხანია ემზადებიან ახალი სეზონისთვის, უმეტესობა დეკემბერშივე ესპანეთში შეუდგა ახალი ტიპის საბურავებისა (წლეულს წინა საბურავებს სამის ნაცვლად ოთხი ღარი ექნებათ) და შარშანდელ ბოლიდებზე დამონტაჟებული ზოგიერთი ახალი მოწყობილობის გამოცდას. წლევანდელ სეზონში შეიზღუდება ტესტების ხანგრძლივობა და საამისოდ გამოყოფილი საბურავების ოდენობაც. ამიტომაც გუნდები ახალი ბოლიდების [illegible] შეიძლება მალე გაწყობას ეშურებიან, რადგან [illegible] რველ რბოლამდე მოასწრონ მათი სრულყოფილად გამართვა, რადგანაც რბოლებს შორის საახლეთა გულდასმით გამოცდა ძნელი იქნება. იანვრის დამდეგიდან კი გუნდების ოფიციალური პრეზენტაციებიც დაიწყო და ჩვენც წარმოვიდგენთ მათ შეშადგენლობებსა და ახალ ბოლიდებს.

შოტლანდიელები სავარძელში მოკალათდნენ

სტიუარტ გრან პრი



რუბენს ბარიჩელო
ბრაზილია
დაიბადა 1972 წლის 23 მაისს სანპაულოში (ბრაზილია)
უცოლო, ცხოვრობს კემბრიჯში (დიდი ბრიტანეთი)
დებიუტი ფორმულა 1-ში — 1993, ბრაზილია („ჯორდანი“)
97 რბოლა, 1 პოული, 56 ქულა
საუთესო შედეგი რბოლაში — მე- 2 ადგილი (1997, მონაკო)
საუკეთესო შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატში — მე-6 ადგილი (1994, 19 ქულა, „ჯორდანი“)

ჯონი ჰერბერტი
დიდი ბრიტანეთი
დაიბადა 1964 წლის 27 ივნისს ესექსში (დიდი ბრიტანეთი)
ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი ცხოვრობს მონაკოში
დებიუტი ფორმულა 1-ში — 1989, ბრაზილია („ბენეტონი“)
12, რბოლა, 2 გამარჯვება, 83 ქულა
საუკეთესო შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატში — მე-4 ადგილი, 1995, 45 ქულა („ბენეტონი“)

STEWART
GRAND PRIX

გუნდის შეფი ჯეკი სტიუარტი
მმართველი დირექტორი დევიდ რინგი
კონსტრუქტორი გერი ანდერსონი
დებიუტი — 1997, ავსტრალიის დიდი პრიზი.
33 რბოლა, 11 ქულა.
საუკეთესო შედეგი რბოლაში — მე- 2 ადგილი, რუბენს ბარიჩელო (1997, მონაკო)
საკეთესო შედეგი კონსტრუქტორთა პირველობაზე — მე-9 ადგილი, 1997
შასი — სტიუარტ SF 3
ძრავი — ფორდ-კოსუორს V-10 CR-1
საბურავები — ბრიჯსტოუნი

FIA
FORMULA 1
WORLD
CHAMPIONSHIP

სტიუარტების გუნდი მესამე სეზონს იწყებს ფორმულა 1-ში. საკმაოდ საიმედო დებიუტის (1997) შემდეგ შარშან პროგრესი აღარ დასტყობია, პილოტები გააწამა ტექნიკურმა პრობლემებმა. ამას შარშანდელი მოდელის „თანდაყოლილი მანკი“ — სიმძიმის ცენტრის არასწორი მდებარეობა დაერთო და საჯინიბომ მხოლოდ 5 ქულის მოგროვება შეძლო, თუმც ბარიჩელო ზოგიერთ რბოლაში საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

ჯეკი სტიუარტს წლევანდელი სეზონის იმედი აქვს, შარშანდელთან შედარებით უკეთ მოვემზადეთო, აცხადებს. მართლაც: ახალი ბოლიდის პროექტირება ძრავის მომწოდებელთან შეთანხმებული პროგრამით მიმდინარეობდა. ახალი ძრავის პროტოტიპი გასული წლის 18 დეკემბერს გამოიცადა, ძრავი კი მეორე დღეს აეწყო და მაშინვე გაეგზავნა გუნდს. 23 დეკემბერს ახალი სტიუარტ-ფორდ SF 3 პირველად გამოაგორეს ტრასაზე. იგი ბევრით განსხვავდება წინამორბედისგან. აღსანიშნავია ახალი ძრავი ფორდ-კოსუორს V-10 CR 1, რომელიც ყველაზე კომპაქტური და მსუბუქი უნდა იყოს ჩემპიონატში. თუ ამას საკმაო სიმძლავრე და გამძლეობაც დემატება, გუნდს მართლაც უნდა ჰქონდეს წარმატების იმედი.

ძრავის მცირე გაბარიტები ბოლიდის ზომებსაც დაეტყო. საერთო სიგრძის შემცირების კვალობაზე ძირითადი აგრეგატები უფრო მჭიდროდ განლაგდა და ამან წონის უფრო რაციონალურად განაწილება გახადა შესაძლებელი. მნიშვნელოვნად შემცირდა შასის წინა ნაწილის სიმაღლე. ამან კი შეკიდულობის სისტემის შეცვლა მოითხოვა. კონსტრუქტორებმა მოახერხეს და 3 სმ-ით „დაადაბლეს“ პილოტის სავარძელი (მრბოლი უფრო ღრმად ჩაჯდება კოკპიტში), ამან კი სიმძიმის ცენტრი დასწია.

გუნდის პრეზენტაცია პირველ რბოლამდე 2 თვით ადრე, 7 იანვარს მოეწყო, რაც ახალი ბოლიდის რბოლებისთვის უკეთ გამართვის საშუალებას იძლევა, ეს კი წლევანდელ სეზონში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ, რადგან რბოლებს შორის ტესტების შეზღუდვის გამო გუნდებს ბოლიდის კონსტრუქციაში მნიშვნელოვანი ცვლილებებისა და ამ სიახლეთა სრულფასოვნად გამოცდის საშუალება აღარ ექნებათ.

სტიუარტების საგვარეულო შოტლანდიური ტარტანის ზოლებით დამშვენებულ ქათქათა ბოლიდებს წლეულს გამოცდილი პილოტები რუბენს ბარიჩელო და ჯონი ჰერბერტი გამოიყვანენ ტრასებზე.

რუბინიო (ასე ეძახიან ბარიჩელოს) წლეულს 27 წლისა გახდება და ახალგაზრდობის მიუხედავად უკვე მე-7 სეზონს ატარებს ფორმულა 1-ში. მართალია, ჯერ არ გაუმარჯვია, მაგრამ ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და სწრაფ პილოტად ითვლება. იგი „სტიუარტის“ ღირსებას ამ გუნდის პირველივე სეზონიდან იცავს და სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული გუნდის პირველი წარმატებები. თანაც, ბრაზილიელს გუნდის ახალ კონსტრუქტორთან გერი ანდერსონთან მუშაობის ოთხწლიანი სტაჟი აქვს — იგი „ჯორდანში“ სწორედ ანდერსონის ხელმძღვანელობით შექმნილი ბოლიდებით ასპარეზობდა.

ჯონი ჰერბერტს, რომელსაც ორჯერ გაუმარჯვია, შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ (მან მხოლოდ 1 ქულის მოპოვება შეძლო) რეაბილიტაციის სურვილი ამოძრავებს. მისი გამოცდილება ძალიან წაადგება გუნდს ბოლიდის ტესტირებისთვის (იგი ხომ საჭემჯიონო „ბენეტონებით“ ასპარეზობდა), ხოლო რბოლებში მისი სისწრაფე და ჟინიანობა ყველასთვის ცნობილი ამბავია.

ერთი სიტყვით, შოტლანდიელთა გუნდი საბრძოლოდ შემართულა და იმედიანი ელის ახალ სეზონს.

ალეკო ჭაბუკიანი

სტიუარტელები წლეულს ამ ბოლიდით ირბოლებენ

სარბიელი

მოისსენით სარჭები!

REUTERS მელბურნიდან

ნიკოლას ლაპენტი

მეოთხედფინალი. ქალები: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ვინუს უილიამსი (5, აშშ) 6:4, 6:0.

დღის მთავარი მატჩი ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს ფავორიტებს შორის არც ისეთი დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა, როგორსაც ბევრი ელოდა. ამაში კი დამნაშავე ნაწილობრივ უბრალო თმის სარჭებია, ასე უხვად რომ ჩაუწნავს თავში უფროს უილიამსს.

ამბავი კი ასე იყო: მეორე სეტის დასაწყისში, როდესაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი 2:0 დაწინაურდა, უილიამსის მოწოდების დრო დადგა. პირველივე გათამაშებაზე ვინუსმა ჩოგანი უშნოდ მოიჭნია, ცხვირ-პირს როგორღაც კი ააცილა, მაგრამ აფოფრილ თმებს გამეტებით დაჰკრა და კორტზე ბლომად სარჭებიც მოაბნია.

ტრაგედია ამას არ გამოუწვევია — მსაჯმა შავკანიანი ამერიკელი მხოლოდ გააფრთხილა და დაემუქრა, თუ ასეთი რამ განმეორდება, ქულას მეტოქეს მივანჭებო. ქვა ვინუსს რამდენიმე წუთის შემდეგ დაეწია, როდესაც დევენპორტს მორიგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა.

ამჯერად თმებს მოწოდების დროს მოხვდა, სარჭებმაც კორტზე იხუვლა და მსაჯმაც თამაში შეაჩერა: ქულა და მასთან ერთად 3:0 უპირატესობა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დაიბევა.

უილიამსი ამას ასე იოლად არ შერიგებია: მთავარ მსაჯს გაცხოველებული კამთი გაუმართა,მაგრამ ასეც ვერაფერს გახდა და თამაში ჩაწითლებული თვალებით განაგრძო: „არა მგონია, ეს სამართლიანი გადაწყვეტილება ყოფილიყო. მსგავსი ინციდენტი ხშირად სულაც არ ხდება და ასე არც ერთი სხვა მატჩის დროს არც ერთი სხვა მსაჯი არ მომქცევია.“

ამის შემდეგ ანერვიულებულმა ვენერამ გეიმის მოგებაც კი ვერ მოახერხა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვარსკვლავები ციდან არც მანამ მოუწყვეტია — დევენპორტს საკუთარი მოწოდება მთელი მატჩის განმავლობაში არ დაუკარგავს და ბურთების ენერგიული გაცვლა-გამოცვლების დროს შეცდომებსაც ნაკლებად უშვებდა.

ამისი აღიარება მოგვიანებით არც თავად ვინუსს დავიწყებია: „მატჩი იმიტომ კი არ წავაგე, რომ სარჭები დამცვივდა, უბრალოდ, საკმარისად კარგად არ მითამაშია.“

რაც შეეხება დევენპორტს, მეტოქის პრობლემისადმი დიდი სიმპათია მას არ გამოუმჟღავნებია, ამ სარჭებმა ისეც გული შემოწუხაო: „ასეთია წესები, რომლებსაც უნდა დავემორჩილო. ქუდი რომ მხურებოდა და იგივე შემმთხვეოდა, ქულას ხომ მეც ჩამომართმევდნენ.

ამელი მორესმო (საფრანგეთი) — დომინიკ ვან რუსტი (11, ბელგია) 6:3, 7:6 (7:3)

მორესმო, რომელმაც ჩოგბურთის თამაში 5 წლისამ, ფრანგი იანიკ ნოას მიერ როლან გაროსის მოგებით შეგულიანებულმა დაიწყო, მატჩის დასაწყისში ოდნავ ნერვიულობდა და მეტოქეს ბრეიკი დაანება. მაგრამ მერე ვან რუსტი სწორედ ძლიერი, თითქმის 180 კმ-სთ-იანი მოწოდებებით და ზუსტი დარტყმებით გააკვირვა, რომლებიც ამ უკანასკნელს დაწევის არანაირ შანსს არ უტოვებდა.

„ამელი, შარშანდელისგან განსხვავებით, ნაკლებად ნერვიულობს და ნაკლებადაც ცდება. ცუდად კი არ ვითამაშე, უბრალოდ, მან დამჩაგრა. მგონი, ნახევარფინალშიც უნდა ჰქონდეს მოგების შანსი, იგი ძალით უილიამსებსაც კი არ ჩამოუვარდება“ — აღნიშნა დამარცხებულმა.

ჯანი კი მორესმოს მართლაც არ აკლია — სეზონებს შორის ახალი მწვრთნელის მოთხოვნით იგი ყოველდღე რამდენიმე საათს ატარებდა ტრენაჟორებთან და იმისთანა მხარბეჭიც დაიყენა, ბარე ერთ-ორ მოჭიდავესაც შეშურდება.

დევენპორტი კი ფრანგთან მართლაც უნდა გაფრთხილდეს: შარშან ამ ორის ერთადერთ პირად შეხვედრაში გამარჯვება სწორედ კუნთმაგარ ამელის დარჩა.

მეოთხედფინალი. კაცები: ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — კაროლ კუჩერა (7, სლოვაკეთი) 7:6 (7:3), 6:7 (6:8), 6:2, 0:6, 8:6

მოულოდნელობების გარეშე არც კაცების მეოთხედფინალს ჩაუვლია. 22 წლის ეკვადორელმა ნიკოლას ლაპენტიმ გამოიჩინა თავი.

კაროლ კუჩერა ტურნირს შემორჩენილი უმაღლესი განთესვის პატრონი ვაჟი და ამავდროულად ერთ-ერთი მთავარი ფავორიტიც გახლდათ, მაგრამ შედარებით გამოუცდელ მეტოქეზე ნაკლებად ამ დღეს სულაც არ სცოდავდა — პირველი სეტის ტაი-ბრეიკი სწორედ მისი ორმაგი შეცდომით დასრულდა.

ის, რაც ბევრს ცალკარა მატჩი ეგონა, თანდათან მეტად დაძაბულ და თვალსასაჩინო ორთაბრძოლაში გადაიზარდა — მორიგ ტაი-ბრეიკზე კუჩერამ ანგარიში გაათანაბრა, მერე გარეგნულადაც და მოქნილობითაც კიპლინგისეული მაუგლის ალიკვალმა ლაპენტიმ იმარჯვა, თუმცა მეოთხე სეტში თავიდან რომ ჩამორჩა, ბოლო გეიმები მეტოქეს აჩუქა — რომ მერბინა, აზრი არ ჰქონდა, ძალა გადამწყვეტი სეტისთვის შემოვინახეო.

ეკვადორელი აქ 5:3 დაწინაურდა, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და კუჩერას ანგარიში გაათანაბრებინა — 5:5, მერე 6:6. დაძაბულობამ ისე იმატა, რომ ჩოგბურთელები ლამის მხოლოდ მაღალ აბრაგნებს ურტყამდნენ — შეცდომების ორივეს საშინლად ეშინოდა.

თითქოს სლოვაკის გამოცდილებას თავისი უნდა გაეტანა, მაგრამ ლაპენტიმ საკუთარი მოწოდება დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა, მერე მეტოქისაზე რამდენჯერმე გარისკა და პირველივე მატჩ-პოინტზე ბადესთან გატყუებულ კუჩერას ზუსტი ბეკჰენდით მოუღო ბოლო.

„სათქმელი რა მაქვს? უსაშველოდ ბედნიერი ვარ. ესოდენ ბევრი მაყურებლის წინ პირველად ვითამაშე და სწორედ ამ არაჩვეულებრივმა ატმოსფერომ შემმატა ენერგია მეხუთე სეტში“ — აღნიშნა პრესკონფერენციაზე ეკვადორელმა.

სხვთა შორის, მაყურებლებში 17 წლის რუსი ანა კურნიკოვაც ერია და ეკვადორელის მეწყვილის, გუსტავო კუერტენის (ლაპენტი-კუერტენი წყვილებშიც მეოთხედფინალისტები არიან) უკან მოკალათებული მას მხარს უჭერდა. როგორც ამბობენ, ანას ლაპენტისთან მეგობრობაზე გაცილებით ახლო ურთიერთობა აკავშირებს.

ტომას ენკვისტი (შვედეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 6:4, 6:4

ამერიდან შესანიშნავ ფორმაში მყოფი შვედი, რომელსაც სამ სეტში 15 ეისი, სეზონში კი უკვე ზედიზედ 13 მოგება დაუგროვდა, ოფიციალურად გამოცხადდა ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად — მის გამარჯვებაზე ბუკმეიკერები მხოლოდ 2:1-ზე ღებულობენ ფსონებს.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS მელბურნიდან

დომინიკ ვან რუსტი

ფირმა „ნაიკს“ რომ საკუთარი ნაწარმისთვის რეკლამის კეთება არ ესწავლება, მაიკლ ჯორდან — ჩარლზ ბარკლის თუ პიტ სამპრასს — ანდრე აგასის ფერადოვანი კლიპების მთელი სერიალიდანაც კარგად მიგვესვენა, მაგრამ მელბურნში ფირმამ სრულიად ახალ და ორიგინალურ საშუალებას მიაგნო.

საქმე ის არის, რომ „ნაიკმა“ ადგილობრივი სტუდენტები თუ საკუთარი ფილიალის წარმომადგენლები ფირმის ვარსკვლავების — ანდრე აგასის, მარი პირსის და ლეიტონ ჰიუიტის მსგავსად გამოაწყო, სატელევიზიო კამერებისთვის იოლად გამოსაჭერ ადგილებში დასხა და ერთადერთი რამ დაავალა — რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირეთ და „ორიგინალებს“ მხარი დაუჭირეთო.

ტურნირის ორგანიზატორ პოლ მაკნამეს იდეა დიდად არ მოეწონა, სამაგიეროდ, „ნაიკელი“ მეგან რაიანი კმაყოფილი დარჩა: „ეს უბრალოდ გულღია ხუმრობაა ჩვენი მხრიდან, რომლის მიზანიც ტურნირისთვის ფერის და ატმოსფეროს გაუმჯობესებაა. ეს თავად ჩოგბურთელებსაც მოსწონთ, თორემ ისე არაფრით გავაკეთებდით“.

მაგალითად, მარი პირსმა სპონსორს ტაქტიკა მოუწონა კიდეც, ხმაურიანი მხარდაჭერა ყოველთვის მიყვარდაო, ოღონდ საფრანგეთთან შედარებით ერთი დიდი განსხვავება აღმოაჩინა: „პარიზში ქომაგი კაცები არც კაბებს იცვამენ და არც პარიკებს იხურავენ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით“.

* * *

მას შემდეგ, რაც 1993 წელს შტეფი გრაფის შერეკილმა გულშემატკივარმა პირდაპირ კორტზე ჩაარტყა ზურგში დანა, მონიკა სელეშს კარგა ხანს ეშინოდა სპორტში დაბრუნებისაც და ხალხმრავალ ადგილებში გამოჩენისაც. ინციდენტიდან უკვე თითქმის ექვსი წელი გავიდა, მაგრამ მონიკას „ფობიების“ დაძლევა ბოლომდე ჯერაც ვერ მოუხერხებია.

მაგალითად, ჩოგბურთზე გაგიჟებულ მერლბურნში ამერიკელმა ერთხელ კი გადაწყვიტა საინტერესო ადგილების მონახულება და კინოთეატრში შევლა, მაგრამ ქომაგებს შავი მზის სათვალეებითა და ქუდით შენიღბულმაც რომ ვერ აარიდა თავი, ისევ სასტუმროს ნომერში შეკეტვა ამჯობინა.

„ძირითადად ხალხი, რა თქმა უნდა, შესანიშნავად მექცევა, მაგრამ თავხედები ყველგან გამოერევიან. მე კი არა ვარ ისეთი ადამიანი, ისინი ხელით ჩამოვიცილო, არადა, ზოგჯერ ისეთ უცნაურ კითხვებს მისვამენ... ახლა ვცდილობ, მარტო აღარსად წავიდე. ერთხელ ვცადე — ბიჭო, ბიჭო, რა სულელური იდეა იყო. სასწრაფოდ უკან, ჩემს ოთახში მოვბურნდი“ — განუცხადა მონიკამ ჟურნალისტებს.

* * *

აი, ჩოგბურთელ ქალთა ახალ თაობას კი ასეთი პრობლემები სულაც არ აწუხებს. თუნდაც აწუხებდეს, აბა, როგორ დაემალებიან ქომაგებს 1,86-მეტრიანი ვინუს უილიამსი ან მისი არანაკლებ აწოწოლავებული და სერენა, თანაც ამდენი სარჭით თმაში?

„ხალხი ერთი შეხედვით გვცნობს. ქუჩაში მათ ჩვენც აუცილებლად ვესალმებით, მაგრამ არა იმათ, ვინც მანქანის საჭეს უზის — აღნიშნა ვინუსმა — მათ სიგნალებს არასოდეს ვპასუხობთ“.

* * *

ავსტრალიელ ენდრიუ ილის თავის სპონსორებთან ცოტათი სხვაგვარი ურთიერთობა აქვს.

ჯერ კიდევ შარშან რუმინული წარმოშობის ილი (ან ილიე) კლასიფიკაციაში 450-ე გახლდათ და მისით კაცი შვილი არ ინტერესდებოდა, მაგრამ წარმატებული სეზონის შემდეგ ჩოგბურთელმა 64-ე ადგილზე აინაცვლა, კარიერაში პირველად, მელბურნში დიდი სლემის ტურნირის მერვედფინალში გაიღწია და მკერდი სპონსორის ნიშნითაც დაიმშვენა.

REUTERS მელბურნიდან

ენდრიუ ილი

ოღონდ პრობლემა ის არის, რომ ილის წარმოდგენა არა აქვს, რას უწევს რეკლამას.

„სანთებელას, შეიძლება მაისურებს? — განუცხადა გაკვირვებულ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე ავსტრალიელმა — არ მინდა, სპონსორის უპატივცემულობა გამომივიდეს, მაგრამ მართლაც არ ვიცი. ამჯერად ვერაფერს გეტყვით“.

თუმცა ილიმ დანაშაულის გამოსწორება მაშინვე სცადა და ფირმის წარწერიანი ადგილი მაისურზე სატელევიზიო კამერებისკენ მისწია — გამგები ხომ გაიგებსო.

მსოფლიოს მეორე ჩოგან მარტინა ჰინგისს კი მელბურნში საკუთარი საყვარელი ადგილიც აქვს — სენტ კილდას სანაპირო, სადაც ჩოგბურთისგან თავისუფალ დროს თავისი მორიგი გატაცებით გორგოლაჭებზე სრიალით ერთობა.

„ოღონდ ეს დილაობით ხდება, როდესაც სანაპიროზე არავინ არის, მერე, როცა ხალხი გროვდება, სწრაფად მოძრაობა თითქმის შეუძლებელი ხდება. სრიალი მართლაც ძალიან, ძალიან მიტაცებს — მარტინას არც ის დაუმალავს, რომ თავის ყოფილ ბოიფრენდ, 21 წლის ხულიან ალონსოსთან დაშორების შემდეგ არავის ხვდება — ისე, სასიამოვნოა, როცა თავისუფალი ხარ და ყველას შენს გემოზე ესაუბრები თუ ეკურკურები“.

ამ ბოლო ხანებში მარტინა ჩოგბურთის კიდევ ერთ სუპერვარსკვლავს, თავისზე 9 თვით უმცროს ანა კურნიკოვასაც ძალიან დაუმეგობრდა: „მასთან იოლია ყველაფრის შესახებ საუბარი. წყვილებშიც შესანიშნავად ვუგებთ ერთმანეთს (ისინი უკვე ნახევარფინალში არიან), ჩვენ ხომ ბევრი რამით ვგავართ ერთმანეთს და თითქმის ერთნაირადაც ვცხოვრობთ“.

NHL ნუ გეშინია, პატრიკ!

1996 წლის პლეი ოფში პატრიკ რუა კედელიგით მტკიცე იყო

ძალიან მძიმედ დაიწყო წლევანდელი სეზონი კოლორადოს სახელოვანი მეკარის პატრიკ რუასთვის. ვერ იყო ფორმაში ვერც რუა და ვერც მისი კლუბი. როგორც თავად ამბობდა, თავდაჯერება და ფსიქოლოგიური წონასწორობა დაკარგა. ამის ბრალი იყო, რომ გამოცდილი მეკარე ზოგჯერ ბავშვივით ცდებოდა და კოლორადოს წარუმატებლობის მიზეზიც ხდებოდა. 21 დეკემბერს ანაჰაიმთან მატჩისას კი პატრიკი ემოციებს ვერ მოერია და ბორტს მიღმა დაყენებული ვიდეოპარატურა ყვანჯით დაამსხვრია. საოცარი ის არის, რომ სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ დაეუფლა რუას სიმშვიდე და ტრავმის გამო დასვენებამაც მოუწია. იანვარში კი, როგორც იქნა, ძველი რუაც ვიხილეთ.

სპეციალისტთა აზრით, მეკარის არასტაბილურ თამაშს თავისი მიზეზი ჰქონდა: ზაფხულში კოლორადოსთან კონტრაქტი უთავდება და მის წლევანდელ გამოსვლაზე დიდად იყო დამოკიდებული რა თანხა ჩაიწერებოდა მეკარის ახალ ხელშეკრულებაში ან საერთოდ თუ დარჩებოდა თავის გუნდში. თურმე ამიტომაც ნერვიულობდა. ასეა თუ ისე, როცა პრესაში გაჟონა ცნობამ, რომ კლუბი სულ მალე რუასთან ახალ კონტრაქტს გააფორმებდა, იგი ძველებურად ათამაშდა. და აი, 25 იანვარს ჟურნალისტთა ვარაუდიც გამართლდა, მეკარემ ახალ, ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მიუხედავად ზემოხსენებული სირთულეებისა, „ველანშის“ ხელმძღვანელობას 35 წლის გამოცდილი მეკარის ოსტატობაში ეჭვი არ შეპარვია. წლეულს იგი 7 მილიონ დოლარს მიიღებს, ხოლო 2000-2001 წლების სეზონში რუას ხელფასი კიდევ 0,5 მილიონით გაიზრდება. ასე რომ, მეკარეთა შორის მასზე მდიდარი მხოლოდ დომინიკ ჰაშეკი იქნება.

გახარებულმა რუამ მთელი თავისი ოჯახის სახელით გადაუხადა მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას, რადგან თურმე მის მეუღლესაც და შვილებსაც ძალიან სურთ დენვერში დარჩენა. თავის მხრივ, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა პიერ ლაკრუამ „ველანშის“ გულშემატკივრები დაიმედა, რომ 1996 წლის ჩემპიონ შემადგენლობის ბირთვს აუცილებლად შეინარჩუნებენ. თუმც რუას ისეთი დიდი თანხა მისცეს, რომ ამის შემდეგ მეპატრონეებს გაუჭირდებათ კიდევ ერთ სუპერვარსკვლავთან პეტერ ფორსბერგთან მოლაპარაკება. ცხადია, შვედი, რომელსაც ასევე ზაფხულში უთავდება კონტრაქტის ვადა, კლუბისგან 6-7 მილიონს მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ თავის კარიერაში რუა სამჯერ იყო თასის მფლობელი (კოლორადომდე ორჯერ მონრეალის რიგებში), ორჯერ პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და 394 მოგებით პირველობს მოქმედ მეკარეთა შორის.

კინენის დიქტატურა დაემხო



მაიკ კინენი ცხარობს: ჩემი დათხოვნის შესახებ გაზეთებიდან შევიტყვე

დასრულდა მაიკ კინენის წარუმატებელი საქმიანობა ვანკუვერის მწვრთნელის პოსტზე. ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა სპეციალისტმა, რომელიც მეორე სეზონია, გუნდში მუშაობს, რა არ იღონა, მრავალი გაცვლაც განახორციელა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო კანადელების კრიზისიდან გამოყვანა. ბოლოს აივსო ვანკუვერის მესვეურთა, კერძოდ, კლუბის გენერალური მენეჯერის ბრაიან ბურკის მოთმინების ფიალაც. ეს მაშინ მოხდა, როცა დეკემბერში „კანაქსი“ ზედიზედ აგებდა და კინენმა ალელ ბურეს სასწრაფოდ გაყიდვა მოისურვა, რადგან წამყვანი ჰოკეისტების ტრავმების გამო შეტევაში სერიოზული პრობლემები შეექმნა. ბურკი რატომღაც არ ჩქარობდა. მხოლოდ იანვრის შუა რიცხვებში დათანხმდა იგი ბურეს გაცვლაზე, როცა კანადელთა სატურნირო მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. მაგრამ ნათქვამია, იგებენ მოთამაშეები და აგებენ მწვრთნელებიო. ასე რომ, ცხადია, განტევების ვაცი კინენი აღმოჩნდა. გამოცდილმა სპეციალისტმა ყველანირი მდგომარეობიდან უნდა იპოვოს გამოსავალი, უხვტრავმიანობით თავს ვერ იმართლებს.

კინენის ადგილი ახალგაზრდა მწვრთნელმა, 37 წლის მარკ კროუფორდმა დაიკავა. მისი თავკაცობით კოლორადო 1996 წელს ჩემპიონი გახდა, მაგრამ ზაფხულში ერთობ მოულოდნელად გაათავისუფლეს „ველანშიდან“. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ახალგაზრდა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი უსაქმოდ დიდხანს არ დარჩებოდა და ასეც მოხდა. იმედია, კროუფორდი გაიყვანს ვანკუვერს ჩიხიდან, თუმც უმალვე წარმატების მიღწევა ერთობ გაუჭირდება.

1994 წლის პლეი ოფის ფინალში გასვლის შემდეგ ვანკუვერმა უკვე ხუთი მწვრთნელი გამოიცვალა.

კარმანოსმა კოფი მაინც ჩაიჯიბა

კაროლინას მეპატრონე პიტერ კარმანოსი, როგორც კ ნჰლ-ში საქმიანობა დაიწყო, 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მცველის, პოლ კოფის გადაბირებას ცდილობდა. წარმოშობით ბერძენმა ბიზნესმენმა თითქოს მიაღწია მიზანს, როცა 1996 წელს ჯერ კიდევ ჩინებულად მოთამაშე კოფი ხელთ იგდო. ეს მას საუკეთესო ფორვარდ ბრენდან შანაჰანის ფასად დაუჯდა, მაგრამ კაროლინაში მისვლის დღიდან არ მალავდა კოფი, რომ გულზე არ ეხატებოდა საშუალო ლონის კლუბში გარჯა და ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს. ეს არის, ფილადელფიაში და მერეც, ჩიკაგოში მან ველარ ივარგა (იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა შეტევას ზედმეტად მიძალებისთვის და პირადი მოვალეობის ურიგოდ შესრულებისთვის მას სათადარიგოთა სკამზეც სვამდნენ). და როცა კოფი კვლავ გაცვლაზე წარადგინეს, მისი შეძენის სურვილი პირველმა ისევ კარმანოსმა გამოთქვა. სხვა რაღა დარჩენოდა სახელოვან მცველს, მიიღო მისი წინადადება, მით უმეტეს, რომ კაროლინას პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვს და თანაც კოფი ხომ ის, ძველი კოფი აღარაა, რომ იყოყმანოს. ამიტომაც ნუ გაიკვირვებთ, რომ ამჯერად კარმანოსი სურვილის შესასრულებლად სულ ერთ, არცთუ ძლიერ ფორვარდ ნელსონ ემერსონს შეელია.

სამფელ ღარიბიანი

ბომბარდირები: კარია (ანაჰაიმი) 61 (20+ 41); ლინდროსი 59 (26+ 33); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 56 (27+ 29); იაგრი (პიტსბურგი) 56 (17+ 39); იაშინი (ოტავა) 53 (20+ 33); სელიანე (ანაჰაიმი) 51 (22+ 29); ფორსბერგი (კოლორადო) 51 (13+ 38); ფლერი (კალგარი) და სტრაკა (პიტსბურგი) 47 (21+ 26); აიზერმანი (დეტროიტი) 47 (19+ 28); ბრინდამორი (ფილადელფია) 47 (17+ 30); სუნდინი (ტორონტო) 47 (16+ 31); ხრისტიჩი (ბოსტონი) 46 (20+ 26); მოდანო (დალასი) 46 (15+ 31)

გოლები: ლეკლერი 27; ლინდროსი 26; რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 25; ამონტე (ჩიკაგო) 24; ნესლუნდი (ვანკუვერი) 23; სელიანე და პრიმო (კაროლინა) 22; სტრაკა, დემიტრა (სენტ ლუისი), ფლერი და მაკიერნი (ოტავა) 21

პასები: კარია 41; იაგრი 39; ფორსბერგი 38; გრეცკი (რეინჯერსი) 36; ლინდროსი და იაშინი 33; მოდანო და სუნდინი 31; ბრინდამორი 30; სელიანე, ლეკლერი და ელისონი (ბოსტონი) 29.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ლეკლერი + 30; ლინდროსი + 28; იაშინი, კარპოვცევი (ტორონტო) და შენონი (ბუფალო) + 24; ტერიენი (ფილადელფია), ბრაუნი (ბუფალო) და ტკაჩუკი (ფინიქსი) + 20.

დარტყმები: კარია 252; ფლერი 220; იაშინი 184; შენაჰანი (დეტროიტი) 177; ლემიე (კოლორადო) 175; ბონდრა (ვაშინგტონი) 171; იაგრი და რობიტაილი 160.

ახალგაზრდები: მუკალტი (ვანკუვერი) 27 (14+ 13); დრური (კოლორადო) 22 (10+ 12); მორისონი (ნიუ ჯერსი) 22 (5+ 17); ჰეიდუკი (კოლორადო) 21 (5+ 16); პერიში (ფლორიდა) 18 (11+ 7); შარიფიანოვი (ნიუ ჯერსი) 18 (7+ 11); კაბერლე (ტორონტო) 17 (3+ 14).

მეკარეები: ტაგნატი (ოტავა) 1,63 გაშვებული გოლი ერთ თამაშში; ვანბისბრუკი (ფილადელფია) 1,81; ჰაშეკი (ბუფალო) 1,86; ხაბიბულინი (ფინიქსი) 1, 93; შილდსი (სან ხოსე) და ბელფორი (დალასი) 2,05; დაფო (ბოსტონი) 2,07.

შაბაშტი: ჰაშეკი 8; ვანბისბრუკი 6; სალო (აილენდერსი) და ირბე (კაროლინა) 5; ხაბიბულინი, დაფო და ებერი (ანაჰაიმი) 4.

ქართველები საქმეს ევროპაში გაარჩევენ

მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენებურთა მონაგარზე გუშინ გამცნეთ. ამ ასპარეზობას პარიზის, ავსტრიული ლინციისა და მიუნხენის საერთაშორისო ტურნირებზე გასამგზავრებელთა კანდიდატურები უნდა შეერჩია. ამ ევროტურის შედეგები ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელ გუნდს დააკომპლექტებს. სამედნიეროდ, ქართულ ძიუდოში ახალი თაობა მოვიდა, რომელიც სულ უფრო მეტად ავიწროებს დამბვდურთ. ამან კონკურენცია გაზარდა და აკი ზოგიერთ წონაში ერთპიროვნული ლიდერები აღარ არიან.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ტურნირის შედეგებით ძირითადად კმაყოფილია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს გაუხარებიათ. მან განსაკუთრებით დავით ნადარაია გამოარჩია (73), რომელსაც სამაგალითო უწოდა და სამართლიანადაც. მან მართლაც ინტრიგა შემატა ნაკრების გამოსვლებს — წონის ლიდერი ჯონდო მუზაშვილი ევროტურიდან ამოაგდო.

მწვრთნელს არც ახალგაზრდების — დავით მარგოშვილის, მამუკა კურდღელაშვილისა და ლევან ციგრიაშვილის შექება დავიწყებია და არც ის დაუმალავს, რომ დავითაშვილმა და ხახალეიშვილმა ნახევარფინალში, ფაქტობრივად, არც იჭიდავეს და ყველაფერი მსაჯთა ნამუსზე შეაგდეს, ამათ კი გამარჯვება უფრო ახალგაზრდა დავითაშვილს მიანიჭეს.

ჩვენი ნაკრები ევროპაში 10 თებერვალს გაემგზავრება და საფრანგეთის, ავსტრიისა და გერმანიის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებს.

60 კგ-ში ნაკრების ღირსებას კვლავ ევროპის ჩემპიონი, ნესტორ ხერგიანი დაიცავს. ჯერჯერობით ის უკონკურენტოა. ჯერაც ვერ გარკვეულა ლიდერის ვინაობა 66-ში, სადაც ამ ტიტულისთვის ორი გიორგი — ვახაგაშვილი და რევაზიშვილი — იბრძვის. ამ კითხვასაც პასუხს ევროტურნირები გასცემს. 73-ში ნადარაია იჭიდავებს, რომლის ევროპაში წაყვანა მოსკოვამდე არც იგეგმებოდა. 81-ში სოსო ლიპარტელიანი გამოვა, მაგრამ მიუნხენში ციგრიაშვილიც წავა. ამ წონაშიც ყველაფერი სწორედ იქ გაირკვევა. 90-ში გია გუგავა, ხოლო 100-ში ივერი ჯიქურაული იასპარეზებენ. შეიძლება ითქვას, კონკურენცია არც მათ ემუქრებათ. მძიმე წონაში ერთბაშად სამი ძიუდოისტი — დავითაშვილი, ხახალეიშვილი და რამაზ ჩოჩიშვილი გამოვა. პირველი ორი მოსკოვის, ხოლო მესამე — შარშანდელ ანალოგიურ ტურნირზე მიღწეული წარმატებისთვის.

როგორც გითხარით, სწორედ ამ სამი ტიტულიანი ტურნირის შედეგებზე დაყრდნობით დაკომპლექტდება მაისში სლოვენიაში, ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, მერე კი, შემოდგომაზე, ბირმინგემის მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც ოლიმპიური ლიცენზიებიც გათამაშდება.

ირაკლი თავაძე

ჰერმან მაიერის უიღბლო კვირა

კაცი სხვა სიტყვას ვერც მოძებნი — ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიოს თასის ერთპიროვნული ლიდერისთვის ბოლო კვირა მართლაც უიღბლო გამოდგა. ოთხი სხვადასხვა სტარტიდან ავსტრიელი მოთხილამურის საუკეთესო შედეგი მერვე ადგილი იყო. ორ მათგანში კი ვადამდე გამოეთიშა ასპარეზობას — ტრასაზე დაეცა. ამით მშვენივრად ისარგებლეს ნორვეგიელმა მდევრებმა ლასე კიუსმა და კეტილ ამოდტმა — მშვიდობიანად დაასრულეს ყველა შეჯიბრება და სათავეში ჩაუდგნენ მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას.

ახლა კიუსს 1089 ქულა აქვს, ამოდტს — 1054, მესამე ადგილზე ჩამოქვეითებულ მაიერს კი 1053. თუმცა, ერთი კი არის, სხვაობა ქულებში იმდენად მცირეა (ერთი სტარტის მოგებისთვის სპორტსმენს 100 ქულა ერიცხება), რომ თასისთვის დავა ფაქტობრივად თავიდან იწყება, ცხადია, დანარჩენის გამოკლებით, რადგან მეოთხე ადგილზე მყოფი ებერჰარტერი ლიდერებს 400 ქულით ჩამორჩება.

ქალებში ლიდერი უცვლელია — 1330 ქულით პირველ ადგილზეა ავსტრიელი ალექსანდრა მაიზინცერი, 975 ქულა აქვს ჰილდა გერგს, 944 — მარტინა ერტლს (ორივე გერმანია).

ანტოლცში (იტალია) ბიატლონისტთა მორიგ ეტაპზე გაიმარჯვეს ნორვეგიელმა ოლე ბიორნდალენმა და ფრანგმა კორინე ნიოგრეტმა. ოლიმპიურ ჩემპიონ ბიორნდალენს არ უნდა გაუჭირდეს მსოფლიოს თასის მოპოვება, თუ კროსმენთა შეჯიბრებაში ძალების გამოცდას თავს დაანებებს. ქალებში უკეთესი შანსები აქვთ გერმანელებს უში დიზლსა და შვედ მაგდალენა ფორსბერგს.

REUTERS კიდეველიდან

ლასე კიუსმა თვით ჰერმან მაიერი ჩამოიტოვა

სარგბილის არქივიდან

ჯონა ფიზიკაში ჩაიჭრა

დრო იყო, ახალზელანდიელ ჯონა ლომუს გამჩერებელი კაცი არ მოიძებნებოდა სარაგბო სამყაროში, ახლა კი ეს მთაკაცი ისე დაბეჩავებულა, გუშინ ფიზიკური მომზადების ტესტში ჩაიჭრა და „ოლ ბლექსის“ მილმა აღმოჩნდა. ჯონას ხვედრი ჯოელი ვიდირიმ და ლომუსავით ტონგელმა, ისიტოლო მაკამაც გაიზიარეს, თუმცა ამ უკანასკნელთა გამართლება იმით შეიძლება, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაშავებულნი იყვნენ და ვარჯიში ათიოდ დღის წინ განაახლეს. აი, რაც შეეხება ჯონას... —მე იგი დიდი ხნის წინ გავაფრთხილე, თუ ტესტებს ვერ ჩააბარებდა, ნაკრებს მილმა დარჩებოდა — განუცხადა ჟურნალისტებს „ოლ ბლექსის“ დამრიგებელმა ჯონ ჰართმა — ამიტომ იგი ვალდებული იყო, სათანადოდ მომზადებულიყო. ნაკრებში თამაშის მსურველებმა უნდა შეიგნონ: ეს გამოცდა ყველამ უნდა გაიაროს, იმედია, ჯონა მომხდარს გააანალიზებს და შემდგომ ტესტებს, რომლებიც აპრილში მოეწყობა, წარმატებით გაართმევს თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ბარ დელ ბალეტიდან

არგენტინის იმედი

არგენტინულმა ფეხბურთმა მორიგი ტიტული მიითვალა. ამ ქვეყნის 20 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა არავის დაუთმო და, წლის ბოლოს, შორეულ ნიგერიაში დაგეგმილ მსოფლიოს პირველობაზეც დაიბევა ადგილი. იმისათვის, რომ არგენტინელ ჭაბუკებს ზედიზედ მესამედ მიეღწიათ ამგვარი წარმატებისათვის, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში მათ პარაგვაელი თანატოლების ძლევა მოუწიათ (1:0). ამ ორი ნაკრების გარდა, ნიგერიაში სამხრეთ ამერიკიდან ბრაზილიელი და ურუგვაელი ფეხბურთელები გაემგზავრებიან.

REUTERS ტამპადან

ქალი ნახეთ ყვანჯიანი!

ჰოკეი რომ ქალებმაც გაითავისეს, ახალი ამბავი როდია. აგერ უკვე ათი წელია, ისინი საკუთარ მსოფლიოს ჩემპიონატს ატარებენ, რომელიც უფრო და უფრო პოპულარული ხდება. თუმცა სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეს ეცოტავებათ და დროდადრო მამაკაცთა მარაქაშიც გაერევიან ხოლმე. პირველი მერცხალი ცნობილი მეკარე მანონ რომი გახლდათ, რომელიც ორი წლის წინ ტამპას საწვრთნელ ბანაკშიც კი გამოიძახეს და მან ერთი საგამოფენო მატჩიც ჩაატარა. მერე, ამ სეზონის დაწყებამდე, ორმეტრიან ფილადელფიელ გრენადერებს კანადის ნაკრების წამყვანმა ფორვარდმა ჰაიდი ვიკენჰაიზერმაც დაუმშვენა გვერდი (თუმცა ვარჯიშებში მონაწილეობის იქით საქმე არ წასულა), მესამე ქალმა კი, რომელიც მამაკაცთა სამფლობელოში შეიჭრა, ეტყობა, სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. სახელგანთქმული ტონი გრენატოს დამ, კემიმ (ფოტოზე მარცხნივ) არამარტო ყინულზე, არამედ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე ჰოკეის კომენტატორადაც სცადა ძალა. თუმცა მაყურებლები მაინც ბუზღუნებდნენ, ჰოკეის მატჩების ცქერისას ქალის ხმა არცთუ სასიამოვნო მოსასმენიაო. კემი კი მითქმა-მოთქმას არად აგდებს, 23 იანვარს ტამპაში გამართულ ვეტერანთა შეხვედრაშიც მონაწილეობდა და მობერებულ ვარსკვლავებზე ბევრად უკეთაც გამოიყურებოდა, რაზეც გატანილი გოლიც მეტყველებს. ვინ იცის, იქნებ ასრულდეს კიდეც მისი მუქარა, მალე ნჰლ-ში დავიწყებ თამაშსო.

მარტინა ხეზე

მარტინა ჰინგისი მელბურნში ყველაფრისთვის იცლის. მსოფლიოს მეორე ჩოგანი დილაობით გორგოლაჭებით დაჰქრის, ორიოდ დღის წინ კი ბოტანიკურ ბაღს ეწვია, ხეზე აძვრა და შესწრებულ ფოტოგრაფებს გვარიანი საქმე გაუჩინა — ფოტორეპორტიორებისთვის პოზირება ჩემი მეორე მოწოდებაა.



REUTERS ფილტონიდან

ევროპის ჩემპიონი ორას მეტრზე რბენაში, ბრიტანელი დუგ უოკერი მოპოვებულ ოქროს მედალს აგემოვნებს. მაგრამ ეს ფოტო შარშანდელია — გუშინ კი ლონდონურმა გაზეთებმა გაავრცელეს ამბავი, რომ უოკერი დოპინგის მიღებაშია მხილებული. ამ ცნობას ბრიტანეთის ათლეტთა მამებიც ადასტურებენ. თავად უოკერი კი შოკირებულია.



ტაისონი აღარ იჩხუბებს?



მაიკ ტაისონი

გერმანულ ქალაქ ბონიდან მოსული ცნობის თანახმად, არაერთგზის გამოცხადებული ორთაბრძოლა მაიკ ტაისონსა და გერმანელ აქსელ შულცს შორის, ალბათ აღარ გაიმართება.

შულცის მენეჯერმა ვილფრედ ზაუერლანდმა განაცხადა, რომ ბრძოლის ჩაშლის მიზეზი პერსონალური ტელექსელების კომპანია „შოუთაიმია“, რომელიც ტაისონ-შულცის ჭიდილის საკაბელო რეპორტაჟს უარობს.

„ეს ჩვენი ოცნებათა დასასრულია“, — თქვა ზაუერლანდმა — „ახლა შულცი საბჭოს ბრიტანელ ჩემპიონს ლენოქს ლუისს უნდა შევახვედროთ. კარგია, თუ ეს საქმე მაინც გამოვა“.

„შოუთაიმი“ ტაისონთან კონტრაქტით დაკავშირებული ტელეარხია და მისი ბრძოლების ინდივიდუალურ გადაცემებსაც აწყობს, მაგრამ უარის ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ შულცი არცთუ ცნობილი ფიგურაა ამერიკელთათვის. ამასწინათ, „შოუთაიმი“ უკმაყოფილი დარჩა ტაისონ-ფრანსუა ბოთას მატჩის სატელევიზიო შემოსავლით და ჩანს, ზედიზედ მეორე უცხოელის თავის ტელეეკრანზე გამოჩენა დიდად არ ხიბლავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29